საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის (?)

№ 182 ხუთშაბათი, თებერვლის 27 (12) 1918 წ. № 182

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ოსმალეთის დელეგაცია ტრაპიზონს ჯერ არ ჩასულა: ამის გამო ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ოსმალეთის მთავრობას — ვახიბ-ფაშასაგან დეპეშა მოვიდა: ის ბათომის, ყარსის და არტაანის დაცლას მოითხოვს ხელშეკრულების ძალით. — გუშინ სეიმის საგანგებო კრება გაიმართა.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე — 30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ — 1 მ., უკან — 50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძის „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირს ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელახლა არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით — 27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: მეუღლე გიორგი ალექსანდრეს ძე კორინთელი. შვილები: არჩილ, ლავრენტი, რევაზი, ქეთევანი, ვარლამი, ეკატერინე, დიმიტრი, პავლე და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ

სოფიო (სონა) ივანე ფიცხელაურის ასული

კორინთელისა

მძიმე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება დღეს 27 თებერვალს ქალაქ [illegible]. 252

მწუხარებით გულდათუთქულნი იოსებ სოლომონის ძე გელიაშვილი და ალექსანდრე გრიგოლის ძე ჯავახიშვილი მეუღლით ელისაბედ იოკიმეს ასულით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი მეუღლის და რძლის

თამარა სიმონის ასულის გელიაშვილის ხახუტაშვილისა

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 5 საათზე, ახალციხის შესახვევი № 9 გამოსვენება ხუთშაბათს 1 მარტს დილის 10 საათზე წმინდა ნინოს ეკლესიაში და დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე. 253

გულდამწვარი მამიდა დარია ზაქარიას ასული მეუღლით დეკანოზ მარკოზ ტყემალაძით, შვილებით და რძლებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ ძმისწულის

თამარ სვიმონის ასული გელიაშვილისას (ხახუტაშვილი)

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინაზე ახალციხის შესახვევი № 9. გამოსვენება ხუთშაბათს 1 მარტს დილის 10 საათზე წმიდა ნინოს ეკლესიაში და დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე.

გულდამწვარი დედა სოფიო ნიკოლოზის ასული შარვაშიძისა, შვილები კონსტანტინე, ლევანი და ვახტანგი შარვაშიძენი, ქალიშვილი ელისაბედ ფილიპეს ასული კალანდაძისა და სიძე იუსტინე სერაპიონის ძე კალანდაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი დაუვიწყარი შვილის, ძმის და ცოლის ძმის კავკასიის მსროლელთა მე-19 პოლკის პრაპორშჩიკის

ნიკოლოზ (კოლა) ფილიპეს ძე შარვაშიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ცხედარს გამოასვენებენ 27 თებერვალს 10 ს. მიხეილის სავადმყოფოდან ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 255

# იყიდება

სტამბის ორი მანქანა დიდი ზომის,

თავის ელექტრომატორებით ორი ბასტონკა, ერთი ქაღალდის საჭრელი მანქანა დიდი ზომის, კასები და სხვა და სხვა რუსულ-ქართული შრიფტი ყოველნაირი სასტამბო მოწყობილებით. პირობების გაგება შეიძლება „სახალხო საქმის" სტამბაში ბარონის ქუჩა № 14. 1089



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 27 თებერვალს,

რუსეთის დიდი რევოლიუციის წლის თავის

აღსანიშნავად გაიმართება წარმოდგენა დაკლებულ ფასებში. მონაწილეობს ყველა არტისტი. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. შავი ნიღაბი და ურს იარჩაკი, 2. ჯოუ-მორა და ბრონენოსცევი, 3. რაბუო და დობრინინი, 4. ქილინი და ვანო მეძველაური, 5. მაჭარბელიძე და იაგუარი.

ანონსი: მოდის ეგვიპტელი ალი, მეფე ყველა ფენომენისა. ხვალ გაიმართება კომის დასის ბენეფისი. 254

## ტფილისი, 27 თებერვალი 1918 წ.

**ბათომის უზედურება.**

ათასნაირი უბედურება თავს დასტრიალებს ბათომს. ათასნაირი ხელი ეპოტინება მას და ჰსურს გამოჰგლიჯოს ხელიდან საქართველოს ქალაქი, ურომლისოდაც საქართველოს ცხოვრება ვერ შეუძლიან. ბათომი რომ საქართველომ დაეკარგოს, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება სამუდამოდ დასამარებულად უნდა ჩაითვალოს. ეს ძალიან კარგად იციან ჩვენმა მტრებმა და ამიტომ უპირველესად ყოვლისა ბათომზე მიაქვთ იერიშები. იმ დროს, როდესაც ჩვენი დელეგატები ტრაპიზონში არიან და ცდილობენ მორიგებით გაათავონ საქმე ოსმალეთთან, იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო სულგანაბული და გულის მწარე ტკივილით ელის, რით გათავდება საზავო მოლაპარაკება, აი სწორედ ამ დროს საქართველოს დედა-ქალაქში დამარცხებული ბოლშევიკები ბათომში განაგრძობენ თავის უსინიდისო მოღვაწეობას და ზურგიდან კვლავ მახვილსა გვცემენ. გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ მეზღვაურებისა და სავაჭრო ფლოტის კავშირს არა ჰსურს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დაემორჩილოს და ამასთანავე ერთად ძალითა ჰსურს დაიპყროს პორტის გამგეობის ბინა. საინტერესოა ვკითხოთ ამ ვაჟბატონებს, თუ კომისარიატი არა სწამთ და კომისარიატის განკარგულებებს არ ემორჩილებიან, მაშ ვის მიაჩნიათ მათ თავის მთავრობად? ნუ თუ სახალხო კომისართა საბჭო, რომელმაც ბათომი ოსმალეთს გადასცა?

თუ მათ ბოლშევიკების მთავრობა სწამთ და ბოლშევიკების ბრძანებას ემორჩილებიან, მაშინ კომისარიატთან ბრძოლას მხოლოდ ერთი აზრი შეიძლება ჰქონდეს — სურვილი ბოლშევიკების ხელშეკრულების განაღდებისა და ბათომის გადაცემისა ოსმალეთის ხელში. შეუძლებელია სხვა აზრი ჰქონდეს ბოლშევიკების ენერგიულ გამოსვლას კომისარიატის წინააღმდეგ ბათომში. ამიერკავკასია და საქართველო ბათომის დასაცავად ემზადება, მთელი საქართველო ფეხზე დადგა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხის დასაცავად, მთელმა საქართველომ აღშფოთებით უკუ აგდო და უარჰყო ბოლშევიკების მუხანათური ზავი და სწორედ ამ დროს ბათომის მეზღვაურები აცხადებენ, ბათომში ჩვენ მხოლოდ ბოლშევიკების მთავრობა გვწამსო. ბოლშევიკებს რომ ბათომი სდომოდათ, ბოლშევიკებს რომ ბათომისთვის გული შესტკიოდეთ, მას საჩუქრად ოსმალეთს არ მიართმევდნენ. მაგრამ ბოლშევიკებმა ჩვენი ძირითადი უფლებები თავზე გადაგვაფეხურეს, ბათომი ოსმალეთს გადასცეს და ამ ქალაქის საშინელი, სამკვდრო-სასიცოცხლო აგონიის დროს ბოლშევიკების გზა-კვალ აბნეული ბათომელი მოკავშირენი გვიმეორებენ ძველ ზღაპრებს ბოლშევიკების მთავრობის შესახებ. ბოლშევიკების მთავრობამ ხელი აიღო ბათომზე და თუ ეს ბათომის ბოლშევიკებს ჯერ არ გაუგიათ, ამიერკავკასიამ და ქართველმა ერმა ისე უნდა გააგებინოს ეს საქართველოს მოღალატეებს, რომ თავის დღეში აღარ დაავიწყდეთ.

## რუსეთის რევოლიუციის წლის თავი

ერთი წელი შესრულდა მას აქეთ რაც თვითმპყრობელობა მოისპო რუსეთში და მშრომელმა ხალხმა საკმარისათ შეანძრია კაპიტალისტურ უსამართლობათა სიმაგრეები. დესპოტიური ძალა-უფლება, რომელიც ხალხის ყოველგვარ თავისუფალ განვითარებას აფერხებდა, აღარ არსებობს. მაგრამ... მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ვერ დაამყარა ჯერჯერობით რევოლიუციამ პირიქით, ცეცხლი და მახვილი მოევლინა მან.

მიოფლიო დემოკრატიული შეერთების სარწმუნოება ვერ განმტკიცდა ამ ქვეყნად. დღეს წარმოუდგენელ ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ განხეთქილებას და განკერძოებას აქვს ადგილი. თუ 1917 წლის თებერვალში შესაძლებელი იყო კიდევ თქმა და მტკიცება იმისა, რომ რუსეთში „უსისხლო" რევოლიუცია მოხდა, დღეს, 1918 წელს ეს შეუძლებელია, ვინაიდან სიცოცხლე უკვე ღირებულებას არ წარმოადგენს; სისხლის მორევში საკმაოდ სცურავს თანამედროვე საზოგადოება და როდის შესწყდება ეს საშინელი სისხლის ღვრა ამის თქმა ძნელია.

კარგად გვახსოვს რევოლიუციის პირველი თვეები. წარმტაცი იყვნენ ისინი, დაუვიწყარი. თავისუფლება დაიბადა ხალხის გულის სიღრმიდან, სადაც გაჩნდა თვით იმპულსი თავისუფლებისა, მისი სტიქიური წყურვილი. პოლიტიკური განთავისუფლება იყო ხალხის თავისდაცვის აქტი და ვფიქრობდით ის შეიქნებოდა ხალხის ისტორიული სიმწიფის გამოხატულებად, მის სულიერ თვით განათლების შედეგათ... როგორ სასიამოვნო ძლიერებით მოისმოდა ხმა მუშისა! არავისთვის გაუგებარი არ იყო მისი ძახილი სოლიდარობის შესახებ და აღიარება იმისა, რომ მშრომელ ხალხს აქვს უფლება არსებობის სისრულეზე, მას ეკუთვნის ამ ქვეყნათ ძალა სამართლიანობის საძირკვლის დასამყარებლად... დიდი ერთსულოვნება მეფობდა. დღეს სურათი საკმაოთ შეიცვალა.

რისთვის მოხდა ეს? სად დავკარგეთ დიადი იდეები ერთობისა და თანასწორობისა? რისთვის მოხდა, რომ პროლეტარიატის ერთიანობა ესე ადვილათ დაირღვა და მისი იდეოლოგები დღეს ერთი მეორეს მტრულად ეპყრობიან? სად არის საერთაშორისო ძმობა? რისთვის მეფობდა დიადი პრინციპი საყოველთაო სოლიდარობის რევოლიუციის პირველ ხანებში, დღეს კი ამ პრინციპის მეფობას არა აქვს ადგილი? რატომ იყო სოციალისტური ინტერნაციონალიზმი სარწმუნოებად მიჩნეული გუშინ, დღეს კი საოცარ კრიზისს განიცდის?

აქ თავდაპირველად ჩვენ კულტურულ მოუმზადებლობას აქვს მნიშვნელობა. რამდენადაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო ან საზოგადოება, იმდენად უფრო სოციალიზმი ნაციონალური და ევოლიუციონურია, რეალიზმი ძლევს მასში უტოპიზმს. ამიტომაცაა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ყველაზე უფრო მეტად გახდა ნაციონალური და ევოლუციონური. საერთოთ სოციალისტური მოძრაობა დასავლეთ ევროპაში კარგი ხანია ნაციონალურ კალაპოტში ჩადგა.

ეს საყვედური როდია, აღიარებაა მხოლოდ შეურყეველ ფაქტისა. საჭიროა ამ ფაქტს ანგარიში გაუწიოთ, [illegible] რუსეთისაც უკვე ძვირად დაუჯდა.

ინტერნაციონალიზმის იდეას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სოც.-დემოკრატიის იდეოლოგიაში და პრაქტიკაში; სოც. დემოკრატიას არა სურს დაადგეს სულიერ გაღრმავების და აღორძინების გზას, არა სურს მოშორდეს შეზღუდულ პოზიტივიზმს.

ინტერნაციონალის იდეა ისე, როგორც ეს სოც.-დემოკრატიას ესმის, არ არის გამომხატველი კაცობრიობის მთლიანობის და ერთა ძმობის დიადი იდეისა.

ნაციონალურ და კაცობრიობის მთლიანობის შორის არ შეიძლება არსებობდეს რამე პრინციპიალური წინააღმდეგობა. შეუძლებელია ამგვარი დილემა: ნაცია თუ კაცობრიობა.

ნაციები კონკრეტიული რეალობანი და არსნი არიან; ისინი უნდა იყვნენ და უნდა განვითარდნენ, რათა ძმურად შეერთდნენ, თუ ნაციონალური არსებობა არ არის გამტკიცებული, შეუძლებელია ლაპარაკი ერთა ძმობაზე. თავდაპირველად ერს უნდა მიეცეს სახე და მხოლოდ მერმე შეიძლება ბაასი მასს სხვა ერთა და კაცობრიობისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ინტერნაციონალიზმს კი სოც.-დემოკრატიის თვალსაზრისით სურს მოაწყოს კაცობრიობის მთლიანობა სხვა გზით, — არსებობის ერთი სამუდამო საფეხურის (ნაციის) მოსპობით; არავითარ უმაღლეს საფეხურს არ შეუძლია უარყოს წინა საფეხური.

კაცობრიობისაკენ, ერთა ძმობისაკენ არ არის პატარა და დიდ ერთა გარეშე სხვა რამე გზა. ეს არის ერთად ერთი კონკრეტიული, რეალური გზა. საფუძვლები და მისწრაფებანი, როგორც პატარა ეროვნულ სხეულებისა, ისე დიდებისა, არიან ისტორიული და კოსმიური.

ინტერნაციონალიზმი კი იმ სახით, როგორც ამას სოც.-დემოკრატია გვიქადაგებს, არა ისტორიულია და არა კოსმიური. უნდა პირდაპირ ვსთქვათ რომ სიადვილე და სიმსუბუქე, რომელსაც ჩვენ ქართველები ვიჩენთ ინტერნაციონალიზმის მიღებით და ნაციონალურ იდეის უარყოფით, არის ერთგვარი გამოხატულება ჩვენი ეროვნული ხასიათის სისუსტისა.

ამ სისუსტეში დამარხულია დიდი ღვთაებრივი განსაცდელი ჩვენი ერისა. ეს ფაქტი საბედისწეროა ჩვენი ერის საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

დღეს მით უფრო უნდა გვახსოვდეს ეს, რომ ყოველმხრივ განსაცდელი მოგველის; ჩვენ ქვეყანას საშინელი ქარიშხალი უახლოვდება... ჩვენი სამშობლოს კარები დაუყონებლივ უნდა გავამაგროთ, და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ, თუ სინამდვილეს ანგარიშს გავუწევთ და მივიღებთ იმ დასკვნას, რომ თავისუფალი კოლექტივი იქმნება ნაციონალურ დისციპლინით ნაციაშივე. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მხოლოდ ის პოლიტიკაა რეალური ამ სიტყვის ემპირიულ და მეტაფიზიკურ მნიშვნელობით, რომელიც განისაზღვრება ეროვნულ იდეებით. ნუ აუვლით გვერდს ამ დიადს ისტორიულ გაკვეთილს დიადი რევოლიუციისას.

რევოლიუციის წლის თავი ამას გვავალებს.

ალ. მდივანი.

## ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური მთლიანობა.

ბოლშევიკების საბედო წერო [illegible] წამოაყენა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და დღეს ის პარტიაც კი, რომელიც მუდამ რუსეთისაკენ იცქირებოდა და რუსეთისაგან მოელოდა ხსნას, სოციალ დემოკრატების პარტია, თავგამოდებით იცავს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იდეას. სხვანაირად მართლაც რომ შეუძლებელია მოიქცეს პოლიტიკური პარტია დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში. ბოლშევიკებმა მთელი ბათუმის და ყარსის ოლქი ოსმალეთს გადაუჩუქრეს და ეს კი ისეთ მდგომარეობაში ჰქმნის, რომ ამიერკავკასიის ერებს მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეუძლიანთ დაიხსნან თავი საშინელი ზავის შედეგებისაგან. ბოლშევიკების ზავმა აუცილებელ საჭიროებად გახადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და დამოუკიდებლობა კიდეც გამოცხადდება.

მაგრამ მართალნი არიან ისინიც, ვინც ამბობს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარატიული განცხადება ჯერ კიდევ არა ნიშნავს დამოუკიდებლობის ფაქტიურ განმტკიცებას. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისთვის ბევრი რამ არის საჭირო და უპირველესად ყოვლისა კი სრული სოლიდარობა ამიერკავკასიაში მოსახლე ერებისა. თუ ამ საკითხში მათ შორის სრული თანხმობა არ დამყარდა, თუ კავკასიის ერთმა რომელიმე ერმა რუსეთისკენ გაიწია, მეორემ კი — ოსმალეთისკენ, ან თუ ასეთი მიდრეკილება ან ერთი სახელმწიფოსკენ ან მეორისკენ ამიერკავკასიის ერებს შორის საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, მაშინ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ფიქციად გადაიქცევა და იგი ან რუსეთისა და მისი მოკავშირეების სათამაშო ბურთად გადაიქცევა, ან ოსმალეთისა და მისი მოკავშირეებისა. ამიტომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად აუცილებლად საჭიროა გვქონდეს სრული გარანტია იმისა, რომ ამ დამოუკიდებლობას ამიერკავკასიის ყველა ერი, რაზნაირად ძლიერად ნატრულობს.

მეორე აუცილებელი პირობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად არის შეთანხმება ინტერესებისა. თუ ინტერესები შეთანხმებული არ არის, დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის ერებს დიდად საეჭვო საქმედ გაუხდებათ. ჩვენ გვეჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთ და პირდაპირ ვიტყვით, საშიშოა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება იმ დრომდე, სანამ დღის ნათელსავით ცხადი არ გამხდარა ყველასთვის, ამიერ-კავკასიის რომელ ერს რა განზრახვა უდევს გულში და ისეთი ხასიათისაა თუ არა ეს განზრახვანი, რომ შეთანხმებას ხელს არ შეუშლის. სეიმის სხდომაზე ნ. ჟორდანია გაკვრით შეეხო ამ საკითხს და შეეცადა კიდეც ცოტა არ იყოს ოპტიმისტური კილოთი დაესურათებინა ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთი დამოკიდებულება. რაც უნდა მართალი იყოს ბ. ნ. ჟორდანია და რაც უნდა მხურვალე ტაში დაიმსახუროს სეიმის დარბაზისა, არც თვით ბ. ჟორდანიას სიტყვებს და არც სეიმის ტაშს არავითარი ფასი არა აქვს, რადგანაც არც ერთი და არც მეორე ინტერესთა შეთანხმების იმ გარანტიას არ წარმოადგენენ, რომელზედაც შესაძლოა აეგოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

სოციალ-დემოკრატები, საუბედუროდ, შენობის აგებას ამ შემთხვევაშიაც სახურავიდან აპირებენ. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მკვიდრ საფუძველს მოკლებული ბუნება ადვილად შეიძლება და შალოს. სანამ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდება, უნდა ნათელ-ვყოთ, ამიერკავკასიის ყველა ერი ერთნაირად არის დაინტერესებული ამ დამოუკიდებლობით თუ არა. სანამ დამოუკიდებლობა ფაქტად იქცეოდეს, უნდა ვიცოდეთ ზურგს უმაგრებს თუ არა ამ დამოუკიდებლობას ყველა ერის სოლიდარობა თუ არა. ეს კი გამოირკვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის ინტერესებისა და ტერიტორიების გამიჯვნა მოხდება. მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ნამდვილად, რეალურად ამიერკავკასიის ერებს „სურთ თუ არა ერთად ცხოვრება თუ გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის ერები ადვილად შეთანხმდებიან ამიერკავკასიის ტერიტორიალურ გადამიჯვნაზე, მაშინ ვერავითარი გარეშე ძალა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ვეღარ გასტეხავს, მაგრამ, თუ გამიჯვნის პროცესში ვერავითარი იდეალურ ნაყოფს ვერ გამოვიღეთ, მაშინ ყველასთვის ცხადი გახდება, რომ ამიერკავკასიის ერთა შორის არა ყოფილა წრფელი სურვილი მეზობლური თანამშრომლობისა, არა ყოფილა ორგანიული კავშირი და შეგნება საერთო პოლიტიკური ინტერესებისა, თუ გამიჯვნამ ეს სამწუხარო ფაქტები გამოაშკარავა და ცხადჰყო, მაშინ განგებას უნდა უმადლოდეთ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა არ გამოვაცხადეთ და ეს დამოუკიდებლობა ქაღალდზე არ ავაგეთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერკავკასიის ერნი იმდენად არიან დაფუძნებულნი პოლიტიკურად, რომ უცილებელი განსაცდელის დროს საერთო ენას და საერთო მოქმედების ხაზს გამონახავენ. მაგრამ არც ჩვენს რწმენასა აქვს ფასი, თუ იგი რწმენა სოლიდარობის ფაქტმა არ დაამტკიცა.

ამიერკავკასიის სეიმში თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ამ ძირითადს საკითხს ერთავად გარშემო უვლის, მაგრამ გადასაწყვეტად მაინც ვერ იქნა და ვერ დააყენეს. ბოლოს აქ. გ. ლასხიშვილის წინადადებით სეიმმა ერთხმად გადასწყვიტა გამიჯვნის ახალი კომისიის არჩევა. გადასწყვიტა, მაგრამ თითოვე შეეშინდა თავისი გადაწყვეტილებისა და ძალიული წინადადება შემდეგი დროისთვის გადასდო, ყველაზე მეტად საინტერესო ის არის, რომ შეშინებული ფრაქციები ამტკიცებენ, ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ და მერე გამიჯვნაზე ვილაპარაკოთო. დიდი შეცდომა სწორედ ეს არის. სახიფათოა და ავნებელი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება იმ დრომდე, სანამ ტერიტორიალური გამიჯვნა არ მომხდარა და არ გამორკვეულა, რომ ამ საკითხში ერთა შორის სრული თანხმობა დამყარდა. „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“, ამბობს ქართული ანდაზა. ამიერკავკასიის ერთა შეუთანხმებლობაც ჩვენი ჭირია. ბევრიც რომ ვმალოთ, იგი მაინც არ დაიმალება. ამიტომ ყოველი გონიერ პოლიტიკის ვალია არა ამ ჭირის დამალვა, არამედ ისეთი პირობების შექმნა, რომ ამ ჭირმა რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოს ამიერკავკასიის ერთა ურთიერთობის, ამიერკავკასიის მთლიანობასა და მის მომავალ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ მციროდენი ჯგუფის ან კერძო პიროვნებათა შესახებ, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ იმედი, რომ ლეშად ქცეული რუსეთი აღსდგება და თავის პოლიტიკურ ცოდვებს შეინანიებს. ადვილად შესაძლებელია როდისმე ეს კიდეც მოხდეს. მაგრამ ეს მოხდება მაშინ და იმ პირობებში, როდესაც ჩვენი დარჩენა რუსეთის ფარგლებში ძალიან დიდი პოლიტიკური უანგარიშობა იქნება. განკურნების გზას შემდგარ რუსეთს ისე ძალიან გაეღვიძება მადა, რომ იგი ერთბაშად გადაყლაპავს ჩვენს ქვეყანას. იგი აღარ იქნება ძველებური დიდი და ვრცელი რუსეთი, რომელიც ვეღარ მისდევდა თავის ტერიტორიალურ ზრდას. იგი ფრთებმოტეხილი, ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული რუსეთი იქნება. ამასთანავე ერთად გერმანიის ეკონომიურ მონობის ქვეშ ჩავარდნილი, და ამიტომ იგი მთელი თავისი ზარალის ანაზღაურებას სხვათა შორის მდიდარი კავკასიის ხარჯითაც მოისურვებს, არაფერს ვიტყვით იმ პირთა შესახებ, ვინც ჯერ კიდევ ამნაირი რუსეთის იმედითა სულდგმულობს. მაგრამ ვინც უკვე სულიერადაც კი ყოველნაირი კავშირი გასწყვიტა რუსეთთან, ვისაც დიდს ბედნიერებად მიაჩნია მაინც და მაინც რუსეთთან იყოს დაკავშირებული ჩვენი ისტორიული ბედი, იმან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყვიტოს ამიერ-კავკასიის ძირითადი პოლიტიკური პრობლემები და საფუძველი ჩაუყაროს ამიერ-კავკასიის ახალს მომავალს. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. წარმოუდგენელია ამიერ-კავკასიის ერთა არსებობა, თუ ტერიტორიალური გადამიჯვნა არ მოხდა და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ამ გადამიჯვნას. კერძოდ საქართველოს ვეღარ შეუძლიან დიდ ხანს ლოდინი. მთელი ამიერ-კავკასიის მშვიდობიანობის დაცვა განსაკუთრებით ქართველებს დააწვათ კისერზე, თითქოს ჩვენს ქვეყანას სხვა საქმეები აღარა ჰქონდეს. დაე თვითეულმა ერმა თავისი საკუთარი ტერიტორია შემოიფარგლოს და თვითონ იზრუნოს სარევოლუციო წესიერების დამყარებაზე თავის ტერიტორიაში. ეროვნულ ტერიტორიალურ ერთეულებში შექმნილ მთავრობებს უფრო მეტი ავტორიტეტი ექნება და უფრო მალე მოუღებს ბოლოს იმ ანარქიას, რომელიც თან და თან ჩვენს ქვეყანასაც ედება...

არ. ჯაჯანაშვილი.

## განწირულთა ღაღადისი

დიდ საქმეში „კავკასიის ცენტრის“ გაზეთი — „იზვესტია“. ამ ორგანიზაციას დღემდე მხოლოდ რუსულ ენაზე მოუხერხებია ხალხთან ლაპარაკი. გაზეთშიაც რუსები თანამშრომლობენ, რომელთაც სუფთა სოციალ დემოკრატიის იარლიყი აქვთ მიკერებული. ეს იარლიყი — მოსაკვიოველია — უკვალოდ იკარგება და ჩვენს წინაშე რჩება მხოლოდ რუსული აზროვნება, რუსული პოლიტიკა და რუსულ შემეცნებით განხილვა ადგილობრივ მწვავე საკითხებისა.

ყველაზე გულსაკლავი აქაურ ველიკოროსებისა ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოყოფა. ეს ამბავი ქართველობისათვის სრულიად უმნიშვნელოა, ვინაიდან ამიერკავკასიის სეპარაცია ოდნავადაც არ ნიშნავს ეროვნულ საკითხის გადაჭრას და მთელი ქართველობა კი მოითხოვს ამიერკავკასიის არა სეპარაციას, არამედ ფედერაციას, რაიცა ავტონომიურ ერთეულების შექმნას გულისხმობს ჩვენს ქვეყანაში.

რუსები კი სრულიად არ დაგიდევენ ქართველობის ამ ინტერესს, ისინი იმ ფაქტითაც გამწარებულან, რომ ფედერაციისაკენ ამიერკავკასიის სეიმმა ერთი ნაბიჯი გადადგა.

რუსების ეს გამწარება ჩვენ ძალიან გვაინტერესებს და გვინდა უყურადღებოდ არ დავტოვოთ. ამიერკავკასიაში რუსები დიდ ქალაქებში არიან მოკალათებულნი და გავლენიან ადგილების საშუალებით გავლენას ახდენენ მთელ პოლიტიკაზედაც. ჩვენთვის ამ გავლენის განადგურებაა საჭირო, როგორც მავნებელ და რეაქციონურ გავლენისა.

ძალიან საყურადღებოა, რომ ქალაქის მოხელეები—რუსები დაუსვენებლივ ებრძვიან ეროვნულ იდეებს. ჯერ იყო და მეცხრამეტე საუკუნეში გვსპობდნენ ყოველის საშუალებით, მაშინ საამისო იარაღი ხიშტი იყო და ქრთამი, იმპერიალიზმი და შოვინიზმი, ხოლო დღეს კი ამავე საქმეს აკეთებენ ლიტერატურით, პროპაგანდით და სოციალიზმის სახელით.

რა უნდა ამ განწირულ ხალხს, რომ აღარ გვასვენებს დღესაც და უბრალო ნაბიჯიც რომ ვერ მოუნელებია ჩვენი ხალხისა ეროვნულ თავისუფლებისათვის? რად დაგვჩხავიან ალდევები, ლებედევები, მერხალიოვები და კოროლიოვ-სემიონოვები? ნუ თუ ამ ძალებს აღარ ეყოთ ქართველობის ტანჯვა-წვალება ველიკოროსების სასარგებლოდ მთელი საუკუნის განმავლობაში?

ველიკოროსების ნაძირალები ჩვენში გამუდმებით ღაღადებენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მავნებლობას. შეკითხული ბუნებრივად შეეკითხება იმ საბუთების შესახებ, რომლითაც ამტკიცებენ ესენი თავიანთ ხულიგანურ აზრებს. კადეტი სემიონოვი სეიმში საყოველთაოდ გვეუბნებოდა, რომ ამიერკავკასიის სეპარაცია ღალატია არა მარტო რუსეთის, ღალატია თვით ადგილობრივ ერებისა, ვინაიდან ქართველები, სომხები და თათრები ურუსეთოდ ერთმანეთს დასჭამენო. აი თურმე რაში ყოფილა საქმე! რუსის ძოღლავწეს სემიონოვს ჩვენთვის სიკეთე უნდა, ამისათვის თავსა სდებს და ჩვენ კი იმდენად შეუგნებელნი ვყოფილვართ, რომ ვეღარ ვაფასებთ კეთილ განზრახვებს!!

საბრალო ჩვენი თავი!?

მაგრამ ვიდრე სემიონოვ-ლებედევების ამ კეთილ განზრახვას შევეხებოდეთ, ზემოდ მოყვანილ საინტერესო „საბუთს“ გვინდა კბილები გაუშინჯოთ. ძალიან დამახასიათებელია, რომ რუსეთის შემარიგებელ და გამაკეთილშობილებელ მისიაზე (??!—თ. ღ.) ლაპარაკობენ არა მარტო კადეტები და ესერები, რომელთა სიყვარული კაი ხანია აღარ გვრამს, არამედ რუსის სოციალისტებიც „იზვესტიის“ ფურცლებიდან. კვირის ნომერში (25 თებ.) მოწინავეში აი რა სწერია: „მართლაც, რა ფასი შეიძლება ჰქონდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, როდესაც ადგილობრივი ერები ერთმანეთს ამოჟლეტავენო“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირდაპირ საოცარია, რად ხდება, რომ ჩვენი თავისუფლების შესახებ სავსებით ერთნაირად მსჯელობს რუსის როგორც პირწავარდნილი ხულიგანი, ისე სოციალისტიც? ნუ თუ ფაქტი ისე თვალსაჩინოა, რომ ყველას შეუძლია იგი ფაქტი ერთნაირად დაინახოს? მაგრამ მკითხველო, არც ასეა საქმის მდგომარეობა. რუსების ეს ფაქტი ჩვენ, სოც.-ფედერალისტებს, მაგალითად, სხვანაირად გვეჩვენება და აგრეთვე ქართველ სოციალდემოკრატებსაც. აშკარაა, ფაქტის შესახებ არსებული შეხედულებათა სხვაობა, ინტერესთა სხვაობაა და ეს სხვაობა უმთავრესად ეროვნულ ინტერესთა დაპირდაპირებაა. რუსებს ის კი არ უნდათ, რომ ჩვენ მართლა მოგვარიგონ მეზობელ ერებთან, არამედ ისინი მუდამ სთესდნენ და დღესაც სთესენ ჩვენს შორის ბუნდოვან აზრებს, შუღლს, მტრობას და ერთმანეთზე წასისიანებით, ისინი მკიან ბედნიერებას. რუსებს აინტერესებთ ძველებური ბატონობა ამიერკავკასიაში და ეს საძაგელი ინტერესია, რომ ერთნაირად ალაპარაკებს, როგორც ხულიგანს, ისე სოციალისტს.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია აქ რაიმე დავმალოთ. ჩვენს წინაშე მთელი საუკუნის ისტორიაა გადაშლილი, ისტორია რუსეთის ბატონობისა და ეს ისტორია მუდმივი ქრონიკაა რუსობის პოლიტიკისა, რომლითაც ჩვენში ამეფებდნენ სიძულვილს და ერებს შორის მტრობას. რუსების ბატონობას კავკასიაში არავითარი სიწყნარე არ მოუტანია, პირიქით, ჩვენი ქვეყანა რუსების ხელში გადაიქცა ხოცვა-ჟლეტის, დაცემის და მოსპობის ასპარეზად.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსები ძალიან გაგვირისხდებიან ასე აშკარა, მოურიდებელი ლაპარაკისათვის. მაგრამ რა გაეწყობა! დიპლომატიური ენა კაი ხანია შარლატნების ენად მიგვაჩნია და არც საჭიროა რისიმე დამალვა. შორეულ დროს რომ თავი გავანებოთ, საკმაოა ახლობელი წარსული წარმოვიდგინოთ, რომ დავახასიათოთ რუსების სიკეთე ჩვენი ქვეყნისადმი. განა ამ ომის დროს მთელი ამიერ-კავკასია რუსის ჯარმა აშკარად არ გაყიდა ოსმალეთზე? მთელი ჩვენი ქვეყანა უტყვიოთ და უწამლოთ დატოვა ფრონტზე, ხოლო ბრესტ-ლიტოვსკში საუკეთესო ადგილები მისთავაზა მტერს! ამაზე მეტი ღალატი და ვერაგობა შეუძლებელია და ნუ თუ ამისათვის ფეხქვეშ უნდა გავეგოთ რუსეთის იმპერიალისტებს?

ჩვენ არაფერი გვწამს რუსების პუბლიცისტების თუნდ იმიტომაც, რომ ისინი განზრახ ამახინჯებენ ფაქტებს და საზოგადოებრივ აზრის ფალსიფიკაციით ცდილობენ ეროვნულ საქმეში ხელი შეგვიშალონ.

მართლაც, სად იყო და როდის, რომ ქართველობამ—მაგალითად შესჭამა რომელიმე მეზობელი ერი? ქართველ ერის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი „პოგრომი“, რომლითაც სავსეა რუსეთის ისტორია, არ გვახსოვს არც ერთი რბევა-აწიოკება, რაიცა ჩვეულებრივი მოვლენაა რუსეთში. და თუ რუსის ხულიგანებს მხედველობაში აქვთ სომეხ-თათართა ხოცვა ჟლეტა, ნუ თუ ყველამ არ იცის, რომ ეს ამბავი უმთავრესად ხდებოდა თვით რუსობის ბატონობის დროს და ფაქტიურადაც დამტკიცებულია, რომ ბაქოს დარბევა 1905 წელში მოწყობილი იყო რუსის მოხელეების მიერ.

რუსეთის პოლიტიკა თავის თავად იწვევდა ყოველ რბევა-აწიოკებას, და ამ ჭეშმარიტებას კი სემიონოვ-კოროლიოვები ვერ ხედავენ სამწუხაროდ!

არა ბატონებო. თქვენი კულტურა თქვენთვის შეინახეთ. შემარიგებელ როლის თამაში რომ შეგეძლოთ ებრაელთა სისხლით არ შეიღებებოდა რუსეთის მიწა-წყალი; თანხმობას რომ იწვევდეს თქვენი მოღვაწეობა ასე ერთბაშად არ დაინგრეოდა დიდი რუსეთი. საკმარისი იყო ასი წლის ბატონობა ჩვენში, რომ თანხმობა ჩამოგვეგდოთ და თუ ეს დღემდე რუსობამ ვერ მოახერხა, იმიტომ რომ **ერების შერიგება უნდა იკისროს არა გარეშე და უცხო ერმა, არამედ თვით მეზობლემა ერებმა.**

„იზვესტია“ ამბობს კიდევ, რომ რუსეთის დატოვება რევოლუციის დატოვებააო. ესეც ტყუილია. უკვე კაი ხანია მოვშორდით რუსეთს, მაგრამ თავისუფლებისათვის არ გვიღალატნია. რევოლუცია ყველაზე მკვიდრად საქართველოშია დარჩენილი და თუ ამას ვერ ხედავს რუსეთის მოღვაწე, აშკარაა იმიტომ, რომ ის ისე დაბრმავებულია ვიწრო ეროვნულ ინტერესებით. ჩვენი დაბეჩავებით, რომ ჩვენს ყოველ დადებით მხარეს მალავს. ხოლო თავის ნაკლსაც კი ნალდზე ასაღებს.

ასეთი ხალხის არაფერი გვწამს, უმჯობესია ასეთმა ხალხმა თავის კერას მიაგნოს დაჩქარებით, რომ წყალი არ აგვიმღვრიოს. განწირულთა ხმით ღაღადისი ვერ დამალავს ინტერესებს და ჩვენი კეთილი რჩევა იქნებოდა: ჩვენს წმიდა ეროვნულ საქმეში ძველი დერჟიმორდები ნუ ჩაგვერევიან ფალსიფიკატორების როლში, ნუ აფერხებენ ჩვენს საქმეს და რუსეთთან ერთად ნუ დაღუპავენ ჩვენს ქვეყანასაც.

თედო ღლონტი.

## წლის თავზე

რევოლუციის წლის თავს განსაკუთრებულ პირობებში ვხვდებით. რამდენი აღფრთოვანება, ერთ სულოვნება, გატაცება და იმედიანობა იყო შარშან ამ დროს და რამდენი მწარე ფიქრები; რამდენი წყეული საკითხი გვთალხავს დღეს, რამდენი შიში და სასოწარმკვეთი მოვლენის მოწმენი ვართ დღეს!

არც ერთი საკითხი, რომელიც გადაჭრელად აღმართული იყო რევოლუციის პირველ დღეებშივე—გადაწყვეტილი არაა. დღეს იმ გაუვალ ზღუდესთან ვდგევართ, როგორც შარშან. საზოგადოებაში უკვე დაიწყო ერთნაირი რეაქცია და უნდა ითქვას უიმედობაც რევოლუციისადმი. დამწუხრებულნი არიან ისინი, ვინც ერთი ხელის აქნევით, უცებ ჰგონებდა ყველაფრის მოგვარებას. მოწყენილნი და თავჩაქინდრულნი არიან ისინი, ვინც აპირებდა მხოლოდ პოლიტიკურ ცვლილების მოხდენას და სოციალურ საკითხებზე არც კი უფიქრნია. ხოლო უკმაყოფილონი არიან ისინიც, ვისთვისაც რევოლუციას ყველაზე ბევრი რამ უნდა მიეცა და ვერაფერი კი მისცა და ბოლოს უკმაყოფილონი არიან ისინიც, ვისაც რევოლუცია პარადი, ზეიმი ეგონა, ხოლო გულმოკლული და დამწუხრებულია დღეს, როდესაც გარეგანი ბრწყინვალება რევოლუციისა გაჰქრა და მისი მეშჩანური და პროზაული მხარეები გამოჩნდა.

მაგრამ ყველაზე ძლიერია სევდა წესიერებისადმი, რომელიც რევოლუციისათვის, ვიდრე იგი გარკვეულად გამარჯვების გზას არ დასდგომია—ძლიერ საშიშია. დღეს ხალხი განსაკუთრებით „ობივატელი“, უსახო და უფერული მასსა იმას გაჰყვება, ვინც წესიერებას მისცემს და ცხოვრებას ასე თუ ისე გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს და აი, ეხლა, რევოლუციის წლის თავზე ეს საბედისწერო საკითხი სდგას ჩვენს წინაშე, ვინ აიღებს ცხოვრების საჭეს ხელში, ვინ შეჰბოჭავს რკინის დისციპლინით რევოლუციონურ ლაშქარს და ვინ დაამთავრებს საქმეს?

დღეს მეორე კლასის გიმნაზიელმაც კი იცის, თუ რა შეცდომები ჩაიდინა რევოლუციონურმა შტაბმა კერენსკიდან დაწყებული ლენინამდე. აქ გამეორება საჭირო აღარაა. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი დიდი და ყურადსაღები გარემოება: რევოლუციის დასაწყისში, ომში სასტიკად დამარცხების გამო დაინგრა ძველი რუსეთი. ხოლო წლის თავზე ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლუციონურმა ტალღამ ვერ შესძლო ახალი ტაძრის აგება და დღეს დანგრეულია და აღარ არსებობს საზოგადოდ რუსეთი. არც ძველი, არც ახალი. საუკუნეთა განმავლობაში გაკეთებული და რკინის სალტით ხელოვნურად შეკოწიწებული მექანიზმი დაიმსხვრა და ეხლა რუსეთი იოანე კალიტას მოსკოვად გადაიქცა. მოხდა ნაციონალიზაცია რევოლუციისა არა მარტო მიზნებით, რაიც ძლიერ სასურველი იყო—არამედ შემადგენლობით. რუსეთი მთლად დაიშალა და ათასგვარ რესპუბლიკად დაიყო, ხოლო სამხედრო დამარცხება რუსეთისა ხომ საარაკოა. სწორედ დღევანდელ რუსეთზეა გამოჭრილი ის სიტყვები, რომელიც ბიორკმა სთქვა საფრანგეთის რევოლუციის დროს: „საფიქრებელია, რომ სამხედრო ძლიერება საფრანგეთისა დიდი ხნით გაჰქრა. შეიძლება ითქვას, რომ ის გაჰქრა საბოლოოდ და მომავალ თაობას მოუხდება ძველი თქმულების გამეორება გაგვიგონია, რომ გალლები ოდესღაც მხნე და მეომარი ხალხი იყვნო“.

ასეა თუ ისე, დღეს ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის. შეგვიძლიან თუ არა განსაცდელს თავი დავაღწიოთ, შეგვიძლიან თუ არა ავსცდეთ იმ უბედურებას, რომელიც რუსეთს თავს დაატყდა?

სამწუხაროდ ჩვენს ცხოვრებას ჰმეთაურობს ისეთი პარტია, რომელსაც შეიძლება თამამად ითქვას, იმდენივე შეუწყნარებელი შეცდომები აქვს, რამდენიც დადებითი მხარეები მოღვაწეობისა. ოდნავ თვალი რომ გადავავლოთ ამ თორმეტ თვეს, ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენი პოლიტიკოსები დიამეტრალურად იმას საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდნენ, რაც საჭირო იყო და იმდენად ბეცნი იყვნენ, რომ დღევანდელი მომენტის შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ. და თუ დღეს, ამ განსაცდელის წინაშე ქართველი ერი ფიზიკურად და [illegible] სრულიად მოუმზადებელი სდგას, ამის უმთავრესი ბრალი ედება ჩვენებურ მენშევიკებს.

ეს ხალხი მთელი ოცი წლის განმავლობაში ეწეოდა ისეთს ნიჰილისტურ, გამრუდებულ მოღვაწეობას ეროვნულ საკითხისთვის, რანაირსაც ეხლა მათი ყოფილი ძმები ბოლშევიკები ეწევიან. და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მათ სწორედ ისევე და იმავე არგუმენტებით უხდებათ ბრძოლა ბოლშევიკებთან, რანაირად და რითაც ვიბრძოდით, ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები ქართველ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. რევოლუციის პირველ ხანებში ტფილისში სიტყვა „ავტონომიის“ ხსენება საშიში იყო, არა მარტო ტფილისში, არამედ ყველგან, რასაც მერე მოჰყვა დარბევა ჩვენი ორგანიზაციებისა. დღეს კი არამც თუ ავტონომია, დამოუკიდებლობის დაცვა უხდებათ ჩვენს სოციალდემოკრატებს. რა გასაკვირველია, თუ ოცი წლის ნათესს ერთ თვეში ვერ ამოფხრიან და მასსა მათ ალმაცერად დაუწყებს ცქერას.

ასევე იყო ქართული ჯარის შედგენის საკითხში. კონტრ-რევოლუციონერად, საერთო საქმის მოღალატედ დასახეს, ვინც ქართული ჯარის დარაზმვასა ჰფიქრობდა. ჩვენ გვახსოვს შავბნელი დღეები, როდესაც გაბოლებული ბრბო მოკვლას უპირებდა, ქუჩებში სცემდა ყველას, ვინც ამაზე კრინტის დაძვრას გაჰბედავდა. გვახსოვს აგრეთვე ტფილისის საბჭოს სამარცხვინო დადგენილება 5 აპრილისა: ეროვნულ საკითხის შესახებ სჯა და წერა უნდა აიკრძალოსო. ეხლა კი, რევოლუციის წლის თავზე, გარდა იმისა, რომ დამოუკიდებლობას ვაცხადებთ—ჯარსაც ვადგენთ და სოციალდემოკრატები ამას გაცხარებით ჰქადაგებენ. მაგრამ ცოტა გვიანაა. ქართველი ჯარისკაცი უკვე გაიხრწნა რუსის ყაზარმაში და მისი სიმყრალე დიდ ხანს არ მოგვშორდება.

მაგრამ დღეს ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობთ არამედ გულის წუხილით ვიგონებთ, რადგან ამასთანა შეცდომები შიშს გვიბადებს, რომ მომავალშიაც ვერ გამოიჩენენ საჭირო შორს მჭვრეტელობას და ყველაფერში დაიგვიანებენ ისე, როგორც [illegible] აქამდე. თუ ისტორიის [illegible] გაკვეთილებმა [illegible] ჩაიარა, მაშინ ქართველი ერის მომავალი საფრთხეშია.

დღეს კი, ვიმეორებთ თითქმის იმავე წერტილზე ვდგევართ სოციალურ საკითხების სფეროში, როგორშიაც ერთი წლის წინად. პოლიტიკურად კი დღეს ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ: თუ საქართველო არა, ამიერ-კავკასია მაინც.

ეხლა საკითხია რევოლუციის ადგილობრივ განმტკიცება რეფორმებით და ამით ანარქიის თავიდან აცდენა. ხოლო ამის გაკეთებას ვერ შევსძლებთ იქამდე, ვიდრე გარეშე საფრთხე მოგველის ბოლშევიკების მიერ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ნაწილის გაყიდვის გამო.

სამშობლო განსაცდელშია—ეს არის დღეს ჩვენი ძახილი. მაგრამ გარეშე საფრთხეს რომ თავიდან ავიცდენთ, ეს არ კმარა. საჭიროა ეროვნული დარაზმვა და ეროვნულ მთავრობების შედგენით მოსპობა ანარქიისა და რევოლუციის განმტკიცება. ჩვენ უკვე ერთხელ გვქონდა ლაპარაკი კავკასიის ფედერაციის შესახებ. დღეს ეს უკვე თითქმის ფაქტია, ჩვენი ინტერესია ეროვნებათა, ტერიტორიალურ ერთეულების ურთიერთობა რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს და შეიქმნას თავისუფალი კავშირი თავისუფალ ერებისა. აი, დღევანდელი, აუცილებლობა.

რევოლუციის წლის თავზე საჭირო იყო ამ შეცდომების გახსენება, რაიც შეიძლება ბევრს ეწყინოს. მაგრამ წარსულის გათვალისწინება აწმყოს განკურნებისათვის დიდი მასალაა. ვისურვოთ, რომ ჩვენს მპყრობელ პარტიას ეხლა მაინც შეეგნოს მდგომარეობა და არ გაემეორებინოს ის საბედისწერო შეცდომები, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში სამწუხაროდ მრავლად მოეპოებოდა. ეს კი გვავალებს მეტს სიფრთხილეს, მეტს გონიერებას და მეტს გაბედულებას, რათა ჩვენზე არ გამართლდეს ქართული ანდაზა რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა.

ქ. რამველიშვილი.

## ქართული პრესა

კავკასიის ცენტრის ორგანო „იზვესტია“-ს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს პერსპექტივა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იგი გვირჩევს რუსეთის ახლიდან ვეკიდოთ და ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიაროთ იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც თავისი თავიც დააქცია და ჩვენც გაგვყიდა. ამის გამო გაზეთი „ერთობა“ სწერს:

„ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გვიხსნის ოსმალეთის მადისაგან. ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს მადა იმაში მდგომარეობს, რომ თუ შესაძლოა, მეორე სახელმწიფო გადაყლაპოს და საკუთარი საზღვრები გააფართოვოს. ამ მხრით გამონაკლისს არც ოსმალეთი შეადგენს. მაგრამ ოსმალეთის იმპერიალისტურ მადას გარდა, არსებობს კიდევ ობიექტიური პირობები, რომელნიც გვიკარნახებენ თავის დასაცავად დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. ეს პირობები იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩვენ რუსეთის ნაწილს შევადგენთ, ნება არა გვაქვს პეტროგრადის მთავრობის მიერ შეკრული ზავის პირობები არ მივიღოთ. პეტროგრადის მთავრობამ კი ბათომი, ყარსი და არდაგანი ოსმალეთს მიართვა“.

„იზვესტია“-ს რომ ბათომი არაფრად მიაჩნია, ეს ჩვენი სრულიადაც არ გვაკვირვებს იგი, უეჭველად, მზად არის ნახევარ საქართველოზე აიღოს ხელი, ოღონდ კი რუსეთის ბატონობა ამიერკავკასიაში არ მოიშალოს. მაგრამ საქართველოსა და ქართველ ხალხს ვერ შეუძლიან თავისი თავი რუსულ იმპერიალიზმს შესწიროს მსხვერპლად. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს „იზვესტია“, რომ არც სოციალიზმი და არც საერთაშორისო კულტურა არაფერს წააგებს იმით, რომ ამიერკავკასია და საქართველო უკუნითი უკუნისამდე რუსეთის საწველ-ფურად არ დარჩა. თუ საქართველომ მოახერხა და თავი დააღწია უბედურებას, თუნდაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეს უდიდესი დღესასწაული იქნება ქართველი ხალხისა.

## მეორე რევოლუცია

**ბოლშევიკი კომისარი.**

ბაიკალის რკ. გზაზე დაურის სადგურთან ყაზახებმა დახვრიტეს ბოლშევიკი კომისარი კუდაშევი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადიდან მოდიოდა. მგზავრებმა ის ყაზახებს გადასცეს. კუდაშევი ლოთობდა და შიშის ზარს სცემდა მგზავრებს. დატუსაღებულმა კუდაშევმა განაცხადა, რომ მას საგანგებო მისია აქვს დავალებული და ამისთვის მიემგზავრება. მას ოთხი მილიონი მანეთი აღმოაჩნდა. ყაზახებმა მას ეს ფული ჩამოართვეს და დახვრიტეს.

**ქარხნის კონფისკაცია.**

ბოლშევიკებმა ხელთ ჩაიგდეს პეტროგრადში რენტგენის მილების ქარხანა.

**უკრაინის ზავი გერმანიასთან.**

საფრანგეთი არ სცნობს უკრაინის ზავს გერმანიასთან.

— რუსეთში მყოფმა დიდი ბრიტანიის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ინგლისი არ სცნობს უკრაინას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ისევე, როგორც არ სცნობს რუსეთის არც ერთ სხვა პროვინციის დამოუკიდებლობას.

**პური მოსკოვში.**

ამ ჟამად მოსკოვში მერვედ გირვანქა პურს აძლევენ სულზე. უპურობისაგან მრავალი ავადმყოფობა ვრცელდება.

**ფლოტის ნაციონალიზაცია.**

ოდესის ბოლშევიკებმა სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია გამოაცხადეს. ფლოტი რამდენიმე მილიონი მანეთი ღირს.

**კერენსკი.**

კერენსკი ამ ჟამად ნორვეგიაშია. ის ქრისტიანიიდან პარიზს მიემგზავრება.

**ინტელიგენტების მდგომარეობა პეტროგრადში.**

პეტროგრადში, ქუჩებში თოვლის საწმენდად აკადემიკოსები და პროფესორები არიან მოწვეულნი. პირველ დღეს მუშაობდნენ სამხატვრო აკადემიის წევრები ვიზელი და ისაკოვი, სამხატვრო სასწავლებლის ინსპექტორი ალბიცკი, ბეკლემიშევი და სამოკიში. განზრახულია ბენუას და სხვათა მოწვევაც.

**„რუსკოე სლოვო".**

„რუსკოე სლოვოს" ნაცვლად „ნოვოე სლოვო" გამოდის. სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა ის 3000 მანეთით დააჯარიმა. რწმუნებული, ჯარისკაცი ბუძისკი მოითხოვდა ერთი მილიონით დაჯარიმებას.

**პროვინციის გაზეთები.**

ხარკოვის „იუჟნი კრაი", „კიევსკაია მისლი" და „ოდესის უწყებები" დაიხურა. სტამბები და ყველა საჭირო მასალა მუშათა საბჭომ წაიღო.

# ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დამოკიდებულება

## რ ა დ ი ო.

ღამით 25 თებერვალს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ორი დეპეშა ფრანგულ ენაზე დაწერილი: პირველი დეპეშა გამოგზავნილია კავკასიაში მყოფ რუსის ლაშქრის მთავარ-სარდლის ლებედინსკის სახელზე: „თქვენო აღმატებულებავ! რუსეთის რესპუბლიკამ ეს არის ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალით უნდა მოხდეს ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების ევაკუაცია. ამის გამო, მაქვს პატივი ვაცნობო, თქვენს აღმატებულებას, რომ მე ბრძანება მივიღე გენერალისიმუსისაგან, რათა გთხოვოთ რაც შეიძლება მალე დასცალოთ აღნიშნული ოლქები. დარწმუნებული იყავით ჩემი თქვენდამი პატივისცემაში. **ვახიბ მამედ.**

—

მეორე დეპეშა რუსის ლაშქრის სარდლის სახელზეა გამოგზავნილი: „თქვენო აღმატებულებავ! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რადგან თქვენ არზრუმში იმყოფებოდით, სომხები ვერ გაბედავდნენ უწესოების მოხდენას ამ ქალაქში და ახლო მდებარე სოფლებში. პირველ ხანებში მე ბრძანება გავეცი, რათა შეეჩერებინათ ჩვენი ჯარის წინსვლა აღნიშნულ ხაზით. დღეს ცნობა მივიღე, რომ თქვენი აღმატებულების წასვლის შემდეგ საშინელი მხეცობა გამოიჩინეს სომხებმა ქალაქსა და არზრუმის მახლობლად. ამის გამო მე მოვალედ ვსთვლი თავს განვაცხადო, რომ ამ ცილებლად საჭიროა ადგილების განთავისუფლება. ამიტომ გთხოვთ განუცხადოთ მოძალადეებს, რომ მათი მხრით წინააღმდეგობას საშინელი შედეგები მოჰყვება. ვსარგებლობ შემთხვევით და გაუწყებთ, რომ თქვენი ჯარის წასვლამ გულწრფელი სიამოვნება გამოიწვია ჩვენებს შორის. ბედნიერი ვარ აღვნიშნო, რომ მე თანამხილველი ვიყავი ამ იშვიათ, ისტორიული სცენისა.

ტრაპიზონში რაც აფეთქება მოხდა შემთხვევის გამო, დიდი მწუხარება გამოიწვია ჩემში და მე გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებ რუსის ლაშქარს. **ვახიბ მამედ.**

—

**ყველახ. ხარიყამიში. ჯარის სარდალს ოდიშელიძეს.**

გადაეცით დაუყოვნებლივ ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს ვახიბ-ფაშას, რათა აუწყოს ოსმალეთის მთავრობას შემდეგი: „17 თებერვალს (ძველი სტილით) ამიერკავკასიის სეიმმა და მთავრობამ რადიო დაუგზავნა ყველას, აგრეთვე სტამბოლში, რომლითაც ვაუწყებოდით, რომ ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც ეხება ამიერკავკასიას და მის საზღვრებს და რომელიც დადებულია ამიერკავკასიის დამოუკიდებელ მთავრობის უცნობელად და უდასტუროდ, ითვლება საერთაშორისო მნიშვნელობას და სავალდებულო ძალას მოკლებულად, რადგანაც ამიერკავკასია არ აღიარებ და ბოლშევიკურ მთავრობას სახალხო კომისარების საბჭოისას. ოსმალოს ჯარის გამგებლობის წინადადებით ჩვენ ტრაპიზონში გავგზავნეთ საზავო დელეგაცია ოსმალეთთან ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. დელეგაცია ჯერ იმყოფება ტრაპიზონში. 25 თებერვალს ჩვენმა მთავარსარდალმა მიიღო ვახიბ ფაშას დეპეშა, რომლითაც წინადადებას იძლევა დავცალოთ ბათომის, ყარსის და არტაანის ოლქები, თანახმად იმ ხელშეკრულობისა, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო ამიერკავკასიის მთავრობისაგან უარყოფილ სახალხო კომისარების საბჭოს მიერ. გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ ეს წინადადება მოხსენებულ ოლქების ევაკუაციისა ისე ხომ არ უნდა მივიღოთ, როგორც ოსმალეთის მთავრობის სურვილი იქონიოს საზავო მოლაპარაკება ამიერკავკასიის მთავრობასთან.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე**, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე **ე. გეგეჭკორი.**

ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის სახელზე მოვიდა საზავო დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის ასეთი შინაარსის დეპეშა: **„დელეგაცია რეიდზე იმყოფება, სტამბოლიდან დელეგაცია არ ჩამოსულა. ოსმალეთის ბანკის წარმომადგენელი აქ არის. ყველანი კარგად გართ".**

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის თავმჯდომარემ ჩხენკელმა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს სტამბოლში ფრანგულ ენაზე შემდეგი რადიო: **„დელეგაცია ამიერკავკასიის მთავრობისა მოვიდა 8 მარტს (ახ. სტ.) საღამოს რვა საათზე. სტამბოლიდან დელეგაცია არ ჩამოსულა. გთხოვთ გვაცნობოთ, საროდიოდ შეიძლება ვიქონიოთ ჩვენ ამ დელეგაციის ჩამოსვლის იმედი".**

**რედაქციის შენიშვნა.** როგორც ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ საზავო დელეგაცია ჩვენის მხრით ოსმალეთის თანხმობისა და წინადადებით გაიგზავნა, როგორც ჩხენკელის დეპეშიდანაც სჩანს, ოსმალეთის დელეგაცია ტრაპიზონს არ ჩასულა. ამასთანავე მოსულია წინადადება, დაუყოვნებლივ დაცალეთ არზრუმი, ბათომი და ყარსი, თანახმად რუსეთის მთავრობასთან დადებული პირობისა. რადგანაც დეპეშაში ნათქვამია, საზავო პირობას ეს არის ეხლა მოვაწერეთ ხელიო, შესაძლებელია ვახიბ მამედის დეპეშა დაგვიანებულად იყოს მოსული.

# ახალი ამბავი

**◆ მობილიზაცია ტფილისში.** ტფილისში ახალგაზრდათა მობილიზაცია 21 თებერვალს დასრულდა. სულ გამოცხადდა 1167 კაცი, ამათგან 505 კაცი განთავისუფლდა, როგორც პირველი ხარისხის შეღავათის მქონე, 554 კაცი მიღებულ იქნა სამხედრო სამსახურში და გაიგზავნა ეროვნულ ჯარში, 96 კაცი განთავისუფლებულ იქმნა ავადმყოფობით, 12 კაცი განთავისუფლდა, როგორც რკინის გზასა, ფოსტასა და ტრამვაიზე მომუშავე. ეროვნების მიხედვით მიღებულნი ასე ნაწილდებიან: რუსთა 124, ქართველი 187, სომეხი 194, უკრაინელი 13, პოლონელი 7, გერმანელი 2, ბერძენი 3, ოსი 4, ლიტველი 1, ებრაელი 19.

**◆ მიტინგი.** დღეს რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავად მოჰხდება შემდეგ ადგილებში: ნაძალადევის თეატრში, „მუშტაიდის" კლუბში, ტრამვაიო პარკში, სახალხო სახლში, სახაზინო თეატრში, ქალთა უმაღლეს კურსებში („ტფილისის კრუჟოკი"), ავლაბრის კლუბში, ავლაბრის ციოკში და ერთობის უბანში.

**◆ სანიტარული რაზმი.** ოთხშაბათს, 28 თებერვალს, საღამოს 5 ს., ქალთა უმაღლეს კურსებზე (ანასტასიევის ქუჩა, 22) დანიშნულია უმაღლეს სასწავლებლების მსმენელ ქალთა კრება. კრების მიზანია სანიტარული რაზმის დაარსება.

**◆ სროლა.** 25 თებერვალს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გაისმოდა სროლა. 5-6 საათზე სროლა ასტყდა მადათოვის კუნძულზე, სროლის მიზეზი იყო წითელ რაზმელების შეტაკება ჯარის კაცებთან. მოკლეს ორი მეეტლე, ერთი ოფიცერი და ერთი უცნობი კაცი. მერვე სროლა იყო ვერის დაღმართზე ისროდნენ ჯარ.-კაც. დავითის და სასამართლოს ქუჩებზე. ღამის პირველ საათზე სროლა იყო ერევნის მოედანზე, სროლა ასტეხეს ჯარის კაცებმა, რომლებსაც სროლა დაუწყეს წითელ რაზმელებმა. მოკლულია ერთი წითელ რაზმელი, ერთი დაჭრილი, დაკავებულია ორი ჯარის კაცი.

**◆ მამულების დარბევა.** ტფილისში მიღებულია ცნობა ბორჩალოს მაზრის კულტურულ მამულების დარბევის შესახებ. თათრებმა დაარბიეს არამიანცის და ალ. მიხ. სუმბათაშვილის მამულები. შემდეგ ისინი გაემგზავრნენ სადგურ სადახლოსკენ მილიციონერების მამულებისაკენ. სპობენ ყველაფერს რაც ხვდებათ გზაში.

**◆ განჯიდან** 25 თებერვალს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო შემდეგი დეპეშა საგუბერნიო კომისართ ტორონიანცისაგან, აგერ სამი დღეა რაც ქალაქში გამოცხადებულია სამხედრო წესები. ქალაქში სუფევს ნორმალური ცხოვრება. ზომები მიღებულია ყოველგვარ უწესოების ასაცილებლად.

**◆ ილია ალხაზიშვილი.** ამას წინად ჩვენს რედაქციას მოუვიდა ცნობა, რომ ბრბომ ცნობილ ქართველ მოღვაწეს ილია ალხაზიშვილს გასამართლება მოუწყო (იხ. ჩვენი გაზეთი № 178). ზოგიერთმა რედაქციამ ეს ცნობა შემცდარად გაიგეს და ცოცხალ ადამიანს ნეკროლოგები შეუთხზეს. ეხლა, როგორც ახალქალაქის მოურავი მარქარიანი გვატყობინებს, ალხაზიშვილი სრულიად უვნებლად ყოფილა.

**◆ რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავად** ქ. ტფილისში დანიშნულია ცხრა ადგილას დახურული მიტინგები, სადაც ილაპარაკებენ და რევოლიუციას შეაფასებენ სხვა და სხვა პარტიის ორატორები. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ხრივ ილაპარაკებენ: გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ო. ბარათაშვილი, შ. მიქელაძე, არ. ჯაჯანაშვილი, თ. ღლონტი, ს. დადიანი, აკ. პაპავა, მ. საყვარელიძე, ქ. რაჭველიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ბ. ქელბაქიანი, კ. გამსახურდია, ვ. დუმბაძე, ვ. ბალიაშვილი და გიორგი სულთანიშვილი. ეს პირნი დღეს, დილის ათ საათზე, თავს მოიყრიან სახალხო სახლში საკულტურო საგანმანათლებლო განყოფილების სადგომში, საიდანაც გაემართებიან დანიშნულ ადგილებს მიტინგში მონაწილეობის მისაღებად.

**◆ ხერობო კავშირის საწყობები** ტფილისში ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით დაბეჭდილია.

**◆ ქუთაისის გამშვენიერება.** კავკასიის ქალაქთა კავშირში მოისმინეს მოხსენება იმ ინჟინერისა, რომელიც ქუთაისში იყო გაგზავნილი. კავშირის ტექნიკური ნაწილი დაეთანხმა მას გადაიდოს რიონზე მუშახე ხიდი 50 საჟენის სიგრძით. ხიდს ააშენებენ იმ ადგილას, სადაც ეხლა ბორანი არის, კოლონიის თავდაპირისთან. ხიდი დაჯდება 400 ათასი მანეთი და ხარჯი ასანაზღაურებლად აქვს წელიწადი.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტია

დღეს, დილის 11 საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრნენ.

— ხუთშაბათს, 1 მარტს, საღამოს 6 საათზე პარტიის კლუბში დანიშნულია ს.-ფედ. მუშათა კავშირის გამგეობის კრება.

—

**მიტინგი ფოთში.** ფოთიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „მრავალ რიცხოვანი მიტინგი შეკრებილი სოციალისტ-ფედერალისტთა ფოთის კომიტეტის მიერ, ითვალისწინებს რა საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც ჩავარდა მტერზედ ვერაგულად მიყიდული სამშობლო საპარცხვინო ზავის შეკვრით გერმანიის იმპერიალისტებთან, ერთხმად დაადგინა სასტიკი პროტესტი გამოუცხადოს რუსეთის უპასუხისმგებლო ბოლშევიკებს მთავრობას და მოუწოდებს ფოთის ყველა მოქალაქეს იარაღით ხელში დაიცვას მტერზედ მიყიდული საქართველოს თავისუფლება და რევოლიუციის მონაპოვარი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისთვის და როგორც ერთი კაცი გამოეხმაუროს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოწოდებას ჩვენი ერის გახწირულების ჟამს, კომიტეტის თავმჯდომარე ესაკია".

# ქართველ ქალებს

უწინ, როდესაც საქართველოს შემოუტევდა მტერი დაიძახებდნენ „ქუდზე კაცი"-ო და ყველა განურჩევლად წლოვანებისა იარაღდა ერთი იდეით გამსჭვალული, რომ საყვარელი სამშობლო განსაცდელიდან დაეხსნათ.

ეხლა კი სხვა და სხვა მიზეზების გამო უქვეი თვეა რაც ეროვნული ჯარის შედგენის ნებაა დართული, ორი კვირაა განცხადებულია მობილიზაცია, მაინც ქართული პოლკები ვერ იქმნა და ვერ შეიქმნა.

უბედურება კი კარს გვადგია. სხუ ქვეყნის კუბოსულს ცეცხლი პატარა საქართველოსაც გვაომევენ...

ქართველო ქალებო! მიჰბაძეთ უწინდელ დედებს, გაამხნევეთ თქვენი შვილები, ქმრები, ძმები, რომ ერთხელ კიდევ ისახელონ თავი. ქართველო ქალებო! გარდა ამ მორალური გავლენისა, რომელიც აუცილებლივ უნდა ქონდეს მუშაობას, ჩვენ მოვალეობას შეადგენს კიდევ მამაკაცებთან ერთად პრაქტიკული მუშაობა. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ჯარის კაცები ბევრს სამუშაობზე. ამითი ჩვენ ორნაირ სამსახურს გაუწევთ:

ერთი ისედაც მცირე რიცხოვან ჯარის კაცებს არ ჩამოვაშორებთ პირდა-

# ტაშირ-ლორის გამიჯვნისთვის.

ამიერკავკასიის გუბერნიათა ეროვნულ-პოლიტიკური გადამიჯვნა ნაციონალურ საბჭოთა წარმომადგენლებს უნდა მოეხდინათ 1918 წლის პირველ იანვრამდის, ამიერკავკასიის კომისარიატის დასტურით. მაგრამ ამ საქმის მოგვარება დღემდე ვერ მოახერხეს ხსენებულმა დაწესებულებებმა და ჩვენი აზრით, ვერც სეიმი მოაგვარებს მას კაბინეტური წესით, რადგანაც თანდათან და მოულოდნელად თავი იჩინა რეფერენდუმის მოხდენის აუცილებლობამ. ზემო ლორის რუსობამ და თათრობამ და ალავერდის სასოფლო საზოგადოებამ (ბორჩალოს მაზრაში) დადგენილება გამოიტანეს—ტფილისის გუბერნიას ვერას გზით ვერ ჩამოვშორდებითო. ქვემო ლორის სომხური სოფლები—უფრო ალექსანდროპოლის გუბერნიას ირჩევენ. მაგრამ არავითარი გარანტია არ არის, რომ იგივე სოფლები მეორე დღეს სხვა გადაწყვეტილებას არ დაადგენიან ამა თუ იმ დროებითი გავლენის წყალობით. „საზოგადოებრივი აზრის" ამ გვარი ცვალებადება, მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, თუ ჩვენი აჭარის საქმეს მაინც გაიხსენებს. ამას წინად „კავკაზსკოე სლოვო" იუწყებოდა, რომ ახალქალაქის სამაზრო კომიტეტს დაუდგენია: ყოველ მხრივ ხელსაყრელია მაზრისათვის ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოთავსებაო; მაგრამ კომიტეტი ამ უდიდეს საქმეზე ხალხს მაზრის მცხოვრებლებს კი არ დაეკითხებია. ყველა მოითხოვს და ჩვენც მხარი უნდა დაუჭიროთ, რათა ამ ადგილებში მოხდეს რეფერენდუმი.

ამ ჟამად შევეხებით იმ მასალებს, რომელნიც ცალკე მაზრების ეთნოგრაფიას და ეკონომიკას ეხება, რათა ამ მასალების მიხედვით გავითვალისწინოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ხალხმა მიიღოს.

ჯერ შევეხებით ბორჩალოს მაზრას, რომლის ეთნოგრაფიული გადამიჯვნა ჩვენის აზრით არც ისე საძნელოა. სერიოზული მნიშვნელობა აქვს ლორის პროვინციას, რადგანაც ამ უკანასკნელით დიდად დაინტერესებულია თვით ბორჩალოს მაზრის გარდა ეხლანდელი ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრების მცხოვრებნიც, უმთავრესად თათრობა. ამიტომ ლორს ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. გზა და გზა ბორჩალოს მაზრის გადამიჯვნის სომხურ პროექტსაც შევეხებით და აღვნიშნავთ თუ რა არის ამ პროექტში მისაღები.

მოსე ხორენის ისტორიკოსების ცნობების მიხედვით „გუგარქის" ერთი ნაწილი, სახელდობრ ლორი, თურმე დიდ ტერიტორიას შეიცავდა ბორჩალოს მაზრაში. ამ ტერიტორიას დასავლეთით და სამხრეთით საზღვრავდა (ეხლანდელის ტერმინოლოგიით) ყარახაჩის, ალაგანის, ჩიბუხლის და ბეზობდალის მთები (მთანი სომხეთისანი—ძველად); აღმოსავლეთით—მთები: გეჯალუ, აირიტაშ, ჩატინ-დაგ და კოშმანის მთაგრეხილი; ჩრდილოეთ ლორში შედიოდა ლალვარ ლეჯან-ლოქის მთაგორიანი მიდამოები ჩრდილოეთის მიმართულებით ვიდრე შულავერ-ბაშკიჩეტის ხაზამდის (იხ. 5 ვერსიანი რუკა). მაშასადამე აქ შედიოდა: ეხლანდელი ლორის საბოქაულო, შემდეგ—ალავერდის, ჰაჰპატის, შინიხის, სადახლოს და ოფლეთის სასოფლო საზოგადოებანი და ბოლოს ბაშკიჩეტისა და ქვეშის საზოგადოებათა სამხრეთი ნაწილები—ერთი სიტყვით ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის უდიდესი ნაწილი.

როგორც ეტყობა ამ ისტორიულ გეოგრაფიაზე არის დაფუძნებული ხატისოვ-შახატუნიანის პროექტი ბორჩალოს მაზრის გადამიჯვნისა. სხვაფრივ ძნელია პროექტის პრეტენზიების ახსნა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოთ ბევრი განათლებული სომხის წარმოდგენითაც ლორს თითქმის მთელი ეხლანდელი მაზრა ეკუთვნოდა, ეჭვს გარეშეა, რომ ეს წარმოდგენა არის ერთ-ერთი დიდი მიზეზი, სომხობის ლტოლვილებას ამ მხარესადმი რომ ეგოდენ აცხოველებს.

მაგრამ ისტორიის საბუთებს რომ გავყვეთ, ძველი მასალების ჯეროვანი დაკვირებაცა, მთელი მაზრის ტოპოგრაფიაცა და ბევრი სხვა რამ შემდეგ უცილობელ დასკვნამდის მიგვიყვანს: ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ეჭვს გარეშეა, ლორად სცნობდა მდინარე ბამბაკჩაის—იმ დროს ბერდუჯის—ორივე მთიან მხარეებს, დაახლოვებით ყარაკლისიდან დაწყებული ვიდრე შინიხამდის, ესე იგი—მდინარეს მარჯვენა ნაპირით: ლისიხის, ჰახპატ-სანაჰინის და შინიხის სასოფლო საზოგადოებათა მიერ დაკავებულ მიწებს და მდინარის მარცხნით: კურთანის და უზუნლიარის საზოგადოებათა მიწებს. ჩამოთვლილი ადგილები იყო და ახლაც არის ნახევრად და მხოლოდ სომხებით დასახლებული. აქ არის განთქმული სომხის ეროვნული დაბები: ჰახპატი დიდებული მონასტრით, სანაჰინი, ოძუნი (ახლა უზუნლიარი) სურ-ნიშანის ნანგრევებით, ჰაკალათი, დისეღი ცნობილი თვისი სურ-გრიგორის ეკლესიით, ჰაღდვი (სურ-ფ-აშან) და სხვ.

რაც შეეხება ეხლანდელ ლორის საბოქაულოს, იგი ძველად განსაკუთრებულ პროვინციას შეადგენდა სახელწოდებით „ტაშირ" და იყოფებოდა ორ ნაწილად: „ტაშირ-ვერენ" (სომხური ისტ. გეოგრაფიით)—ზემო ლორი, ან როგორც ვახუშტის რუკაზეა ნაჩვენები—„ტაშირის ველი" და „ტაშირ-ნერქონ"—ქვემო ლორი (ე. ი. ლორის საბოქაულოს ქვემო ნახევარი) ადგილობრივ გლეხებში დარჩენილ თქმულებებით საზღვარი ამ ორ ნაწილებს შორის კურტანის მონასტრის ხეობა ყოფილა. ეს თქმულება სხვათა შორის საუცხოვოდ მართლდება, რომელსაც აქაურს ქართულ და სომხურ ძველ-ნანგრევთა ადგილმდებარეობას დააკვირდებით. ე. თაყაიშვილის თქმით ლორის საბოქაულო ისევე როგორც თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა არქეოლოგიურად სრულებით არ არის შესწავლილი (წალკისა და ჰახპატ-სანაჰინის გარდა). ამასთან არც ჩვენი და არც სომხურ საისტორიო მწერლობაში არ მოიპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ მოსახლეობდა ეხლანდელ ზემო ლორში. ჩვენი სპეციალისტების ტრადიციული შეხედულებით ეს მხარე—„სომხითი" სახელით „ეკუთვნოდა" ვახუშტის აღწერილი ტაშირული „მაღალი, მაგრამ ფრიად უსუფთაო სომხები" ნამდვილად „ტაშირ-ნერქინს" ე. ი. ქვემო ლორს უნდა ეკუთვნოდნენ, ან ყოველ შემთხვევაში, ეს XVII საუკუნეში გადმოხვეწილებს. ჩვენგნით პირადათ ნახული ლორის ქართული სიძველენი ამტკიცებენ რომ აქ, თითქმის ბერდუჯის (ბამბაკჩაის) მდინარემდე—ცნობილი კოზერის ქართული კონსტერიცა გვაქვს სახეში—მოსახლეობდა ქართველობა, ამასთან საკმაოდ მაღალ კულტურულ საფეხურზე მდგარი, გადაჰალეთ ხუთვერსიანი რუკა, იპოვნეთ სოფლები: ჯუჯაქიანდ, ყარაისა, ვორონცოვკა, პაიდაობეგ, კურტან, იაღდან—აქ მოიპოვება დღემდის შერჩენილი ძველი ქართული ეკლესია-მონასტრების ნანგრევები მრავალი ხუცური წარწერებით. ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მიღებული აქვს კურტანის ეკლესიის და ჯუჯაქიანდის „კურჯი კილისას" ძველი ქართული წარწერები (ფოტოგრაფია).

სახაა ლორის აწინდელი მოსახლეობას და სასოფლო-ადმინისტრატიულ შემადგენლობას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ რომ, რადგანაც ძველი ადმინისტრატიული სტატისტიკა სწორს და საჭირო ცნობებს ვერ იძლევა, მცხოვრებთა რაოდენობის საჩვენებლად ჩვენ ვისარგებლებთ შარშანწინდელ სასოფლო-სამეურნეო აღწერით — Всероссийская сельско-хозяйственная перепись 1916 года *), რომელმაც სხვათა შორის შემდეგი ციფრები გამოარკვია: რამდენი კომლია და მუშა-ხელი კავკასიის (აგრეთვე რუსეთის) თვითეულ სოფელში არ არის უზვი ეს მასალები, მაგრამ იძულებული ვართ ამით მაინც ვისარგებლოთ, როგორც უკანასკნელი აღწერის მასალებით.

ლორის საბოქაულოს მთლად ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შეერთებას მოითხოვს სომხური პროექტი და ჩვენც განვიხილოთ რამდენად არის ეს მოთხოვნილება შესაწყნარებელი.

ძველად ტაშირი, როგორც ვნახეთ, ორ ნაწილს წარმოადგენდა. თანამედროვე ლორის საბოქაულოც, შემდგარი შვიდი სასოფლო საზოგადოებისაგან—57 სოფლით—ეთნოგრაფიულად ორი სხვა და სხვა ნახევრად იყოფა: დასავლეთი ანუ ზემო ლორი—არა სომხურის მოსახლეობით და აღმოსავლეთი ანუ ქვემო ლორი—სომხურის მოსახლეობით.

ზემო (დასავლეთი) ლორში მოთავსებულია შემდეგი საზოგადოებანი:

ა) **ვორონცოვკისა:** ვორონცოვკა—რუსი 436 ოჯახი ანუ 1472 მუშა ხელი, ნიკოლაი-მიხაილოვკა—რუსი 78 ოჯახი ანუ 254 მუშა ხელი, კიზილკილისა—თათარი 50 ოჯახი, ანუ 210 მუშა ხელი, ლოკ ხევი—თათარი 29 ოჯახი ანუ 104 მუშა ხელი, კამიშლო—თათარი 41 ოჯახი ანუ 85 მუშა ხელი, მიშტავი—სომეხი 18 ოჯახი ანუ 81 მუშა ხელი, სარჩაპეტ—სომეხი 139 ოჯახი ანუ 443 მუშა ხელი.

ბ) **შახნაზარისა:** შახნაზარ—სომეხი 404 ოჯახი ანუ 1316 მუშა ხელი, ჯუჯაქიანდ—თათარი 46 ოჯახი ანუ 180 მუშა ხელი, ირღანჩაი—თათარი 130 ოჯახი ანუ 4 4 მუშა ხელი, სოფუხბულახ—თათარი 40 ოჯახი ანუ 153 მუშა ხელი, ილმაზლო თათარი 46 ოჯახი ანუ 168 მუშა ხელი, ყარაღალა—თათარი 30 ანუ 76 მუშა ხელი, ყარაისა—თათარი 54 ოჯახი ანუ 159 მუშა ხელი, ქოთურ-ბულახ—სომეხი 120 ოჯახი ანუ 504 მუშა ხელი.

გ) **ჯალალოღლისა:** ჯალალოღლი რუსკიე—რუსი 58 ოჯახი ანუ 167 მუშა ხელი, ჯალალოღლი არმიანსკიე—სომეხი 216 ოჯახი ანუ 580 მუშა ხელი, ნიკოლაევკა—რუსი 66 ოჯახი, ანუ 218 მუშა ხელი, ალექსანდროვკა—რუსი 45 ოჯახი ანუ 145 მუშა ხელი, ხოვროკოვკა—რუსი 85 ოჯახი ანუ 276 მუშა ხელი, რუსკიე-გერგერი—რუსი 101 ოჯახი ანუ 398 მუშა ხელი, ამამის—სომეხი 40 ოჯახი ანუ 143 მუშა ხელი.

დ) **პრივოლნისა:** პრივოლნოე—რუსი 240 ოჯახი ანუ 788 მუშა ხელი.

სულ არის 23 სოფელი, 2512 ოჯახი ანუ 8334 მუშა ხელი. აქედან: 9 თათრის სოფელი შეიცავს 466 ოჯახს, 18 პროც., 1549 მუშა ხელს, 17 პროც., 8 რუსის სოფ. შეიცავს 1109 ოჯახს, 45 პროც., 3718 მუშა ხელს, 45 პროც., 6 სომხის სოფ. შეიცავს 937 ოჯახს, 37 პროც., 3067 მუშა ხელს, 38 პროც.

თათრები და რუსები ერთად შეადგენენ 17 სოფელს, 1575 ოჯახს, 63 პროც. სომხები—6 სოფელს, 937 ოჯახს, 37 პროც.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1916 წლის აღწერის დროს თათრები, საქონლის ბარის მობილიზაციისაგან დაშინებულნი (5—6 ჯერ კოკობეს ლორში საქონელი ლადის გაბაძვლობაში), არ ეცხადებოდნენ აღმწერლებს. ნახევარზე მეტი თათრობა დარჩა აუწერელი: ეს სხვათა შორის შარშან ზაფხულში დამტკიცდა: თათრის სოფლის კომიტეტები ორმ წარუდგინდნენ ზოლმე ლორის სასურსათო კომიტეტს, თვითეულ სოფლის ოჯახთა ვრცელ სიებს,—პროტესტებს აცხადებდნენ, როდესაც სასურსათო კომიტეტი მოუთითებდა საგუბერნიო სტატისტიკის (1916 წლის) ციფრებზე, რომლითაც თვითონ ხელმძღვანელობდა. იმ მიზეზის გამო თათრების რიცხვი უეჭველია ორჯელ მეტი მაინც უნდა ვივარაუდოთ და რუსი და თათარი მკვიდრთა რიცხვი ვიანგარიშოთ მაინც არა ნაკლებ $^3/_4$ მთელი ზემო ლორის მცხოვრებლებისა. ზემოთ მოყვანილი ციფრები არამც თუ არ განსხვავდებიან 1916 წლის სტატისტიკის ციფრებისაგან, პირიქით, ეს უკანასკნელნი—ადასტურებენ ჩვენს ანგარიშს.

**გ. ბაქრაძე.**

*) შარშანდელი (მეორე—1917 წლის) აღწერის მასალები, შინაარსის მხრით მეტად მდიდარია და დაუფასებელ ღირებულებას წარმოადგენენ ქართულ ეროვნულ დაწესებულებათათვის. ორივე აღწერაში პირადი მონაწილეობა მიგვიღია და ვეცდებით ცალკე წერილში ვუამბოთ მკითხველს მათ შესახებ.

პირ მის დანიშნულებას და შეორე ჩვენ, როგორც ქალები, უფრო ჩქარა შევასრულებთ ამ სამუშაოს. უკვე შესდგა ქართველ ქალთა მუშათა რაზმი, რომელიც მუშაობას ქართულ საინტენდანტსტვოს საწყობებში. ეს რაზმი ეხმარება საწყობის ზედამხედველს მთავარი დიდი საწყობიდან ტანსაცმელის მიღებაში. მათ ოთვლაში და განაწილებაში. სამუშაო დიდია და მუშა ქალები კი ცოტა. საჭიროა ამ რაზმის გადიდება თუ არ გვინდა რომ ჩვენი შვილები, ქმრები და ძმები იყვნენ უტანისამოსო და უფეხსაცმელო. ქართველო ქალებო, მარტო სახელით კი არა, საქმითაც ვიყვეთ ქართველები. ნუ დაზოგავთ კვირაში ერთ დილას ან საღამოს სამუშაოდ.

მუშაობა სწარმოობს საეხედრო სასწავლებელში და ქართული კორპუსის საწყობში (მიხაილოვის ქ. 168) დილის 9 საათიდან 2 საათამდე. და საღამოს 4 დან 7 საათამდე ნავთლუხში კი დილით 9 სათიდან—4 საათამდე.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ნინო ლომაურთან დილის 10 დან 2 სათამდე ტელეფონის ნომერი 15—44.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

## 24 თებერვლის სხდომა.

ამ დღის სხდომას ჩვეულებრივ კარლო ჩხეიძე თავმჯდომარეობს.

იგი სხდომას მოახსენებს, რომ ვიდრე რეგლამენტი შემუშავდება საჭიროა, დაუსრულებელ ლოდინის თავიდან ასაშორებლად დროებით რაიმე წესი იყოს შემოღებული საქვორუმოდ და ამიტომ სეიმისგან ითხოვს დასტურს, ყოველთვის, როცა კი წევრთა ერთი მესამედი შეიკრიბება პლენიუმზე, მას უფლება ჰქონდეს სხდომის გახსნისა. რაც შეეხება დროს, იგი ითხოვს ყოველი სხდომა იხსნებოდეს ნახევარ საათის დაგვიანებით შემდეგ გამოცხადებულ ვადისა.

თავმჯდომარე აგრეთვე მოახსენებს სეიმს ახალ მთავრობის ორგანიზაციის შესახებ ერთხმად მიღებულ გარდაწყვეტილებას პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლებისა, იგი აცხადებს, რომ ყველამ ერთსულოვნად ნდობა გამოუცხადა ერთს პირს, რომელსაც ევალება მთავრობის შექმნა.

კ. ჩხეიძე მოახსენებს სეიმს სეინფორმაციოდ სეიმის წევრის გულგაკოვის (სოც.-რევ.) განცხადებას, რომ იგი ყარს ამბობს დეპუტატობაზე.

დასასრულ სეიმს მოხსენდა შუამდგომლობანი სიონისტურ ორგანიზაციისა და სომხურ სახალხო პარტიისა, რომ მათ წარმომადგენლებს ადგილი დაეთმოთ სეიმში.

სეიმი, თანახმად პრეზიდიუმის დასკვნისა, ამ შუამდგომლობათ გადასცემს სამანდატო კომისიას, რომელიც შემდეგ თავის დასკვნას წარუდგენს სხდომას.

შემდეგი საზეიმო სხდომა სეიმისა ინიშნება რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავად 27 თებერვალს, ხოლო შემდეგი სხდომა ოთხშაბათს, 28 თებერვალს.

სხდომა, გახსნილი დღის პირველ საათზე, ნახევარ საათის შემდეგ დასრულდა.

# ძირს პორნოგრაფია!

„თუ ხალხს ვერ მივაწოდებთ კარგ წიგნს, დეე იგი სულ ნურაფერს წაიკითხავს, უმჯობესია".

ჯ. რესკინი.

იქნება უფროსც იყვეს ამაზე წერა. ზ[illegible]ბანის გრიალი და ძმათა სისხლის ღვრა ჩვენს აზრსა და გრძნობას სხვაგვარად ამოძრავებს მაგრამ ამ ზარბაზნის ბოლსა და სისხლის წვიმაში იზრდება ჩვენი ქვეყანა და მუშ[illegible] ახალი ტიპი მამულიშვილის და მოქალაქისა. და როცა გულსა და გრძნობას [illegible] თავისუფლების [illegible] მოვ[illegible], [illegible] ახალგაზრდობაც მივაპყრათ მომავალში მურჯი რომ უნდა შეიქმნეს თავისუფალ სამშობლოს, და დღეს „თავისუფალ მოქალაქის" მ[illegible] გამოწრთობილა და მშობლებისაგან ავტონომიურად წყო [illegible] განვითარე[illegible] [illegible] მომხადენის საქმეს. და თუ ახლა ზრდობა თავ[illegible] [illegible], რომელმაც მომავალში სამშობლოს მკერდი უნდა დაამშვენოს, ჩვ[illegible] ერთი არ უნდა იყვეს, [illegible] შესდგება ეს თავგული, რით საზრდოობს და რით იკვებს წყურვილს სულისას ეს ახალგაზრდობა. მით უმეტეს, როგორც ვსთქვით, დღეს ყველასათვის სრული თავისუფლების ხანაა და მოსწავლე ახალგაზრდობაც სრულ, თავისუფალ მოქალაქის უფლებით შეიარაღებულა. ჩვენს მოვალეობას უფრო ის უნდა აორკეცებდეს, რომ დღეს უპასუხისმგებლობის ხანაა და ყველა ვიგინდარა და ქონების იოლი შეძენის მოტრფიალე ორი ხელითა ჰფანტავს შხამს მარცხნივ და მარჯვნივ. ოღონდ ქანქარი შეიძინონ და რას დაგიდევენ, თუ ის შხამი ავნებს ხალხის სულსაც და ხორცსაც. ამისთანა დროს გაფრთხილება სჭირია ახალგაზრდობას, როგორც იას, ადვილად რომ იხრება მცირე სუსხზე და როგორც ლერწამს, ადვილად რომ იხრება ქარის ყოველ შემობერვაზე. რევოლიუციის ხანა ხომ უფრო საშიში ხანაა და ქვეყანა ქარ-ბუქის სანავარდო ასპარეზად არის გარდაქცეული. გაფრთხილება სჭირია მეტადრე ახალგაზრდობის ზნეობას, რადგან ამ ზნეობას ჭია თუ შეეპარა, გადაგვარების გზაზე დაგვიყენებს ახალგაზრდობას, უკანასკნელი კი უზნეო და დაჩიავებული, სამშობლოს არად გამოადგება და ამ ზნეობას ეხლა ყველაზე მეტი მტერი ჰყავს, უპირველესი კი პორნოგრაფიაა, ასე დიდი ასპარეზი რომ მოუპოვია დღეს და ასპარეზს კიდევ უფრო იფართოვებს. პორნოგრაფია, უზნეო შინაარსის ლიტერატურას წინადაც ვრცელდებოდა, ძველი რეჟიმის დროს და ბიუროკრატია მას უფრო თავისუფალ და მეტ გასაქანს აძლევდა, ვიდრე კარგ, საღ და გონიერ აზრების მავრცელებელ მწერლობას, მაგრამ უწმაწურ ლიტერატურის მავრცელებელთ ეხლა უფრო თამამად წამოუყვიათ თავი და ძველ ბიუროკრატიის საქმიანობას გაორმაგებული განაგრძობენ. შეიარეთ ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე № 114, ბინა 5-ში, იკითხეთ „თეატრალნი აგენტი", გაუსინჯეთ მას მიწერ-მოწერა, გაუსინჯეთ წიგნების საწყობი და დაინახავთ რაოდენი „საუნჯე" აქვს მას დაგროვილი და ჩვენი ახალგაზრდობა ამ პორნოგრაფისტების ქსელში როგორ არის ჩათრეული. ეხლახანს წავიკითხე, სამწუხაროდ გაზ. „ვოზროჟდენიე-ში" პატარა განცხადება:—5 коп. не деньги. Пришлите вашъ адрес и вы получите катал. интер. книгъ". მისამართი ზემოდ მოხსენებულია აღნიშნული. წიგნების სია საცდელად გამოვიწერე და... ძრწუნვამ ამიტაცა. „თეატრალნი აგენტი" ვიღაც კარნოვიჩი ყოფილა და რომ თავისი ბნელი სახე არ გამოამჟღავნოს, სთხოვს კლიენტებს—წიგნების სია დახურული წერილით გამოიგზავნეთო. ალბად ამავე მოსაზრებით დაურქმევია „თეატრალნი აგენტი", თეატრთან კი მას ალბად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. განა ამას მის წიგნების სია არ ამჟღავნებს? „რა დღე დააყარა ქმარმა თავის ცოლს პირველ ღამეს", „როგორ შეაცდინა ძმამ თავისი და", „როგორ გააუპატიურა მამამ თავისი ქალი", „ჩვენი პირველი ღამე „როგორ გააუპატიურეს ის პეტრეს ბაღში" და სხვ. აი ის ძვირფასი ძღვენი, რომლითაც კარნოვიჩი ახალგაზრდობას უმასპინძლდება და ამგვარი შინაარსის წიგნი სიაში 78 ჯურისაა ჩამოთვლილი. (მხოლოდ ამგვარი წიგნებია) ფასი 70 კ.—1 მან.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მოწაფე ვიყავი და ვიცი მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობისმოყვარეობა, ვიცი „პიკანტურ" რამეს იგი როგორ ეტანება და ეძლევა, ამ თავისუფლების და უპატრონობის ჟამს, იგი შეიძლება უფრო ადვილად წამოეგოს კარნოვიჩის მაცდურ ანკესზე. ვისთვისაც ძვირფასია ხალხის ზნეობის ფაქიზი და წმინდა სახე, ხალხის ზნეობა, უნდა ებრძოლოს პორნოგრაფიის გავრცელებას, ებრძოლოს კარნოვიჩებს და დღეს ახარქაოს გამეფებული და საზ[illegible] ზღ პრო სიძვირის გზო კარგი წიგნის ბაზარი დაცარიელებულია, „თუ, ჯორჯ რესკინი არ იყვეს, ვერ მივაწოდებთ ახალგაზრდობას კარგ წიგნს, დეე იგი სულ ნურაფერს წაიკითხავს, უჯობესია".

ხანგანიძე

# რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კრება

კვირას 18 თებ. 1918 წელს დღის 12 [illegible] დანიშნული კრება ამიერკავკასიის და კახეთის რკინის გზაზე ქართველ მოსამსახურეთა ქართულ კლუბში. გამოცხადდა 160-მდის ქართველი მოსამსახურე.

თავმჯდომარედ აირჩიეს ვახტანგ ლამბაშიძე, მხოლოდ მდივნად იოსებ ფანცულაია.

დღიურ წეს-რიგში გამოცხადებულ იქმნა შემდეგი კითხვები:

1) მომენტი და ჩვენი ტაქტიკა.

2) რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა კავშირი.

3) კავშირის წესდების ძირითადი დებულებანი.

4) კავშირის საბჭოს წევრთა არჩევანი და სხვა მიმდინარე საკითხი, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო.

კომისიის წევრმა დომენტი არონიშიძემ წაიკითხა მოხსენება პირველ საკითხზე, ე. ი. მომენტსა და ტაქტიკაზე.

ქართულ მოსამსახურეთა შეერთებულმა კრებამ ერთ ხმად აღიარა: რუსეთის დიდი რევოლიუციის კრიზისი ერთის მხრით და თანდათანი ზრდა ანარქიისა და ამოძრავება უპასუხისმგებლო ბნელი პირებისა მეორე მხრით ჰქმნის ისეთ საერთაშორისო მდგომარეობას, როცა ქართველი ერი იძულებულია შემოკრბეს ავტორიტეტულ და ერთად ერთ გავლენიან ორგანოს გარშემო, შექმნას ძლიერი ცენტრი, აღჭურვოს ის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებით და მით შეუდგეს თავის ტერიტორიის საზღვრებთა შორის საშინაო აქტიურ პოლიტიკის წარმოებას, ხოლო გარეშე სახელმწიფოებთან და მეზობელ ერებთან იქონიოს სრული სახელმწიფოებრივი კავშირი და ურთიერთობა ამისათვის კრებას სადღეისო მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნია განხორციელებული იქნას შემდეგი ზომები:

1) ვიდრე მოხდებოდეს ხელახალი არჩევანი ეროვნულ დამფუძნებელი კრებისა დროებით აღჭურვილ იქმნას საქართველოს ეროვნული საბჭო სრულ სახელმწიფოებრივი უფლებებით და გამოცხადდეს ის საქართველოს დროებითი მთავრობად.

2) ეს დროებითი მთავრობა შეუდგეს დაუყონებლივ სამზადისს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისთვის დემოკრატიულის პრინციპებით.

3) კრებამ თავისი ღრმა აღშფოთება გამოთქვა ბრძოლის იმ მეთოდის გამო, რომელსაც მიმართავენ უპასუხისმგებლო ელემენტები საქართველოს მიწა-წყალზე სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად. საჭიროდ აღიარა, რომ ქართლში და სხვა და სხვა კუთხეებში დატრიალებულ ანარქიას ქართულმა ეროვნულმა საბჭომ უფრო ენერგიულად გაუწიოს ბრძოლა. და თუ საჭირო იქნება ამ ბრძოლისთვის რკინის გზის მოსამსახურეთა დახმარება ისინი მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან სამშობლოს მთლიანობა განუყოფელობა და მშვიდობიანობა განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს განუწყვეტლად პარტიისა ცოცხალ ძალების გაერთიანებას და შეკავშირებას.

4) რადგანაც ქართლში დატრიალებულ ანარქიის ხელ-შემწყობ მიზეზად შეიძლება სხვათა შორის აგრარულ საკითხის გადაუწყვეტლობაც იყოს და რადგან კომისარიატისაგან გამოქვეყნებული მიწის დეკრეტი ვერ არკვევს, ვერ სჭრის საბოლოოდ ამ საკითხს, კრებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ ეროვნულმა საბჭომ დაუყოვნებლივ რადიკალურად გადაჭრას აგრარ-მამულის საკითხი და მეზობელ ერთა განსხვავებული სოციალ-ეკონომიური პირობები ამ შემთხვევაში არ უნდა დააბრკოლებდეს აგრარულ რეფორმის შემოღებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მკვიდრთა შორის.

თავმჯდომარემ აცნობა კრებას სამწუხარო ამბავი ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ, რომლის ძალითაც უკან უკანასკნელისათვის დაუთმიათ ბათომი, არდაგანი და ყარსი თავის ოლქებით. გაიმართა მცირე კამათი, რომელშიდაც აღნიშნულ იყო უკმაყოფილება, რომ ეს ზავის საკითხი დასრულდა ასე ცუდად, იმიტომ, რომ დროზე არ იყო ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე კავკასიიდან ცალკე წარმომადგენელი, რომელსაც მოეთხოვნა თვით გარემანელები. გარდა ამისა ორჯერ სამ-სამი კვირით კომისარიატმა გადასდო ეს საკითხი სრულებით უმიზეზოდ და ამით ვეხიბ ფაზას წინადადებაზე, რომელიც მოითხოვდა დამოუკიდებელ კავკასიისაგან საზავო მოლაპარაკების დაწყებას, გადაჭრილი პასუხი არ მისცა. ასეთმა უსაფუძვლო დახანებამ გამოიწვია ზავის საკითხის ჩვენ დაუკითხავად გადაჭრა, რასაც მოჰყვა ასეთი საშინელი შედეგი.

კამათის დასრულებისას კრებამ აირჩია 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია პროტესტის რედაქცია ამიერკავკასიის სეიმის წარსადგენად.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც საჩქაროდ გაუგზავნა ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარეს: რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთ კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზე, გაიგო რა სამწუხარო ამბავი ბოლშევიკების მიერ ზავის შეკვრის შესახებ ამიერკავკასიის საზღვრებში, რომლითაც ბათომის, ართვინის და ყარსის ოლქები დაეთმო ოსმალეთს, ღრმა აღშფოთებით აცხადებს თავის პროტესტს და მოითხოვს რომ ამიერ კომისარიატის ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ, რომელმაც დიდათ ავნო ამ ზავის საქმის სასურველად გადაწყვეტას, კავკასიის სეიმმა მაინც გადადგას გაბედული ნაბიჯი: არ სცნოს ეს ხელშეკრულება კანონიერად როგორც ამიერკავკასიისათვის ეგრეთვე კერძოდ საქართველოსათვის და შეუდგეს ხელახლად ოსმალეთთან მოლაპარაკებას დამოუკიდებელ ამიერკავკასიის სახელით. მით უმეტეს რომ ფაქტიურად იგი დიდი ხანია, ჩამოშორებულია რუსეთსა და სახალხო კომისარიატის მთავრობას.

რკინის გზებზე ქართულ მოსამსახურეთა კავშირის შესახებ მოხსენება წაიკითხა ვალერიან ბაქრაძემ; ამ მოხსენებაში ვრცლად იყო გარკვეული კავშირის დაარსების აუცილებელი საჭიროება, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა მთელი საქართველოსთვის.

კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დებულება:

1) რკინის გზის სრული ნაციონალიზაციისათვის დაუყოვნებლივი სამზადისი და მისი შეძლებისდაგვარად განხორციელება.

2) საქართველოს ტერიტორიაზე რკინის გზაზე ქართული ელემენტის გაძლიერება.

3) ქართულ ენაზე საქმის წარმოება.

4) განსაკუთრებული კურსები რკინის გზის მოხელეთ მოსამზადებლად.

5) ქართული ენის კურსები და ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება.

6) ეროვნულ საბჭოსთან ცალკე სარკინისგზო სექციის დაარსება.

7) კავშირის წევრთა თვიური ჯამაგირის 1% გადასახადი ხარჯების უზრუნველსაყოფად.

ამ დებულებების დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა კომისიის მიერ წარმოდგენილი წესდების მთავარი მუხლები, რომლის საბოლოო შემუშავება მიენდო მომავალ საბჭოს.

შემდეგ დასახელებულ იყვნენ საერთო კრებისაგან კანდიდატები, რომელთაგან კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: ანანიაშვილი. ზურაბიშვილი. არონიშიძე დ. ლამბაშიძე ვ. დიასამიძე ა. ქუთათელაძე ა. მუსხელიშვილი ვ. ნ. ნონიაშვილი. თავდგირიძე, ბაქრაძე ვალერიან, ჩიხლაძე ვ. ლეჟავა ნ. ირემაძე ნ. დიასამიძე ა. ფანცულაია ი. რჩეულიშვილი არ. ავალიშვილი ნ. სარაჯიშვილი, მქუასილი გ. ყარმელაშვილი ს. ჟორდანია ვ. კეჩაკმაძე ნ. კამკამიძე ა. ცინცაძე დ. დათაძე დ. გიორგობიანი ს. ბაქრაძე ივანე. მჭედლიშვილი გ. კოვლეილოვი ი. წივწივაძე ა. მათ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: ოქრუაშვილი ი. თუთბერიძე გ. თამამშვილი დ. ბერძენიშვილი. კეკნაძე ფ. ბარნოვი ვ. ხედიაროვი პ. და ხამასურიძე.

არჩევნების შემდეგ კრება დახურულ იქმნა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის ხაზინო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბავშო და საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

საბუღალტრო კურსები
გ. ქ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ვორონცოვის ქ. № 6.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფებს (ფსიხოთერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეხზაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა. კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ქ. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის ბავშვთა საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 18 87 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხიხვლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ბერლინის [illegible] უნივერსიტეტის [illegible]
ზ. გ. მეჭრაგიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვისა, ჭლექის და გულისა. ახალს რენტგენის ელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით. დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., [illegible] ბუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იღებს ავადმყ.)
ზ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალურ ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადიასტაქრო ავადმყოფთ დღე[illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 87, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, [illegible] 1030

ძ. კაჯაჯაძე.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეჩნიკოვის ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ. 3 მ.
ლორთქიფანიძე თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I . . . 4 „
გრიგოლი წ. I . . . 3 „
ქართველი მწერლები. . . . 2 „
ეცხოვრების . . . 2 „
შუკაშვილი—„მეგობრობა". . . . — 60 „
ჯავახიშვილი—„თამარ მეფე". . . . 1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჩაბლიანო საქართველო" . . . — 40 „
ლორთქიფანიძე თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი" . . . — 50 „
წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14.